ახალი განათლება

27.09-03.10.2018

№27 (821) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

როგორ დავაღწიოთ თავი „ბავშვურ ტყვიას“

გვერდი 7

სამართლიანობის აღდგენის მოლოდინში

გვერდი 5

პედაგოგთა დასახმარებლად

სწავლება კლას-კომპლექტში
ფასი – 10 ლარი

საშოდელო გაკვეთილი
ფასი – 12 ლარი

ტესტები მათემატიკაში
ფასი – 10 ლარი

დაგვიკავშირდით: 599 88 00 73, 555 411 668, 593 300 264

მანდატურის სამსახური

რას ითვალისწინებს ცვლილებები

გვესაუბრება საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილე კონსტანტინე ანჯაფარიძე

გვერდი 4

სკოლის მართვისა და ლიდერობის საერთაშორისო კონფერენცია

გვერდი 6

ᲐᲨᲨ-Ს ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲚᲔᲑᲐᲡ 2019-2021 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲮᲐᲚᲘᲡᲔᲡᲗᲐᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲡ ᲛᲝᲮᲐᲚᲘᲡᲔᲑᲘ, ᲩᲕᲘᲓᲛᲔᲢᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ, ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ �პᲠᲝᲔᲥᲢᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ. ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲨᲔᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲜ 2019-2021 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ, ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲓᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლებს შემდეგ რეგიონებში: **კახეთი (ახმეტის ჩრდილოეთით მდებარე სოფლების გარდა), მცხეთა-მთიანეთი (სტეფანწმინდის გარდა), ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი.** კონკურსში მონაწილეობა არ შეუძლიათ იმ სოფლებისა და ქალაქების სკოლებს, რომლებიც მდებარეობენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის ათკილომეტრიან ზოლში.

თუ თქვენი სკოლა მდებარეობს ჩამოთვლილი რეგიონებიდან ერთ-ერთში, ინგლისური ენის მინიმალური საათობრივი ბადე შეადგენს 24 საათს და დაინტერესებული ხართ მოხალისესთან თანამშრომლობით 2019-2021 აკადემიურ წლებში, აპლიკაცია მოითხოვეთ ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრში ან მოიძიეთ ჩვენს ვებგვერდზე:

https://www.peacecorps.gov/georgia/ask-for-a-volunteer/

შეავსეთ და მოგვაწოდეთ მშვიდობის კორპუსის ოფისში, მისამართზე ვაჟა-ფშაველას გამზირი 29ა, თბილისი, 0160 ან გამოგვიგზავნეთ ელექტრონული ფოსტით, მისამართზე:

education@ge.peacecorps.gov

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲒᲕᲘᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲘᲗ:

- **ᲐᲡᲛᲐᲗ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ**
  ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ
  ᲢᲔᲚ: 595906444;
- **ᲗᲔᲝ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ**
  ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ
  ᲢᲔᲚ: 591969881;
- **ᲘᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
  ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ
  ᲢᲔᲚ: 595950406;
- **ᲜᲘᲜᲝ ᲤᲘᲠᲝᲡᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
  ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲠᲔᲜᲘᲜᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ
  ᲢᲔᲚ: 595027979.

ᲛᲘᲐᲓᲔᲕᲜᲔᲗ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲤᲔᲘᲡᲑᲣᲥᲒᲕᲔᲠᲓᲡ: **Peace Corps Georgia**

ᲛᲝᲮᲐᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲕᲐᲓᲐᲐ 22 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, 2018 ᲬᲔᲚᲘ

ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚ�გᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲩᲐᲔᲠᲗᲔᲗ „ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚ�გᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ“ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲔᲑᲨᲘ 7 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ!

„ᲐᲮᲐᲚ�გᲐᲖᲠᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ“

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ᲞᲠᲝᲖᲐᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲝᲠᲘᲕᲔ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ, ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲘ ᲞᲠᲝᲖᲐᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲡ �გᲐᲠᲓᲐ, ᲐᲠᲘᲡ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲡᲘᲜᲐᲗᲚᲝ ᲓᲐ ᲛᲪᲘᲠᲔᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲢᲝᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ. ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ, ᲔᲠᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ:18-21 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ, ᲓᲐᲑᲐ ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ-ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ. ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲔᲠᲘᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲮᲐᲢᲕᲘᲡ ᲜᲘᲭᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲣᲚ 12-18 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲔᲑᲡ.

ᲓᲐᲬᲕᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲬᲕᲘᲔᲗ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚ�გᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲕᲔᲑᲒᲕᲔᲠᲓᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲒᲕᲔᲠᲓᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲗᲖᲔ:

www.cync.ge
www.facebook.com/cync.ge

ᲛᲘᲡ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐ N76Ბ
ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲝ ᲞᲘᲠᲘ: ᲔᲙᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ
ᲢᲔᲚ: (+995) 32 2302253; ᲛᲝᲑ: 577 942249;
ᲔᲚᲤᲝᲡᲢᲐ:Ekaladze@cync.ge
ᲕᲔᲑᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.cync.ge

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲨᲔᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲪᲓᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ?



ეს კითხვა განსაკუთრებით აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც სამინისტროში საკადრო ცვლილებები განხორციელდა, პრემიერ- მინისტრმა განათლების რეფორმის პრეზენტაცია გამართა და საზოგადოებას სისტემის მოდერნიზებას დაჰპირდა. მოიაზრება თუ არა რეფორმის ფარგლებში ახალი საგამოცდო სისტემის დანერგვა და რა ბედი ეწევა საატესტატო გამოცდებს, რომელიც, საზოგადოების უმეტესობის აზრით, „არაფრისმომცემ დაბრკოლებად“ იქცა უფროსკლასელებისთვის. ამ კითხვაზე კომენტარი ვთხოვეთ პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს, **მარიამ ჯაშს**. როგორც მან განაცხადა, გამოცდების რეფორმა 2020 წლისთვის დასრულდება.

„მომდევნო ორ წელიწადს გამოვიყენებთ იმისთვის, რომ მაქსიმალურად ოპტიმალური და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება შევძლოთ. პირადად ჩემი პოზიცია, ალბათ, საზოგადოებას ახსოვს, როცა ვთქვი, რომ საატესტატო და ეროვნული გამოცდების სისტემა დასახვეწი იყო. ძალიან ბევრ ქვეყანაში, თუნდაც რაოდენობრივად, ბევრად უფრო ნაკლები საატესტატო გამოცდაა და უფრო ეფექტურადაა კონცენტრირებული ცოდნის დადასტურების ინსტრუმენტებზე. რასაკვირველია, კომიტეტი განხილვებში აუცილებლად ჩაერთვება და, შესაბამისად, 2020 წლისთვის ჩვენ უნდა ველოდოთ გამოცდების ახალ ფორმატს, რომელიც იქნება ბევრად უფრო ეფექტური და ნაკლებად ორიენტირებული პროცესზე. რაც მთავარია, ახალი საგამოცდო სისტემა რეალურად მისცემს საშუალებას სკოლის მოსწავლეებს, რომ დამამთავრებელი კლასები მათთვის იყოს სკოლის რეგულარული პერიოდი და არა, მაგალითად, მხოლოდ რეპეტიტორთა სისტემის ნაწილი.“

ქალბატონი მარიამი მიიჩნევს, რომ კერძო მასწავლებლების სისტემასაც აქვს თავისი დადებითი მხარე და, რომ იგი ფუფუნებაა ნებისმიერი ქვეყნისთვის – მოსწავლეს დამატებით ჰქონდეს ინდივიდუალური სწავლების შესაძლებლობა. თუმცა, ამბობს, რომ *„მას არ უნდა ჰქონდეს ასეთი მასშტაბური სახე, განსაკუთრებით რეგიონებში, რადგან სოფლის სკოლის მოსწავლეებს, ხშირ შეთხვევაში, არ აქვთ გადამზადების შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც წარმატებით აბარებენ გამოცდებს. შესაბამისად, ჩვენ უნდა შევქმნათ სისტემა, რომელიც სკოლის სასწავლო პროგრამის მიხედვით ობიექტურად შეაფასებს მოსწავლის ცოდნას და არ მოსთხოვს იმ საგნების ჩაბარებას, რომელსაც სკოლაში არ ვასწავლით.“*

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა სრულად შეიცვლება და Cat-ის გამოცდები გაუქმდება? ამ კითხვაზე მარიამ ჯაშმა გვიპასუხა, რომ ამ დროისთვის კონკრეტული პასუხის გაცემა გაუჭირდება, რადგან საკითხი ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია. მისივე თქმით, სხვადასხვა ალტერნატივიდან თითოეული უნდა შეფასდეს, დადებითი მხარეებისა და რისკების გათვალისწინებით. *„სავარაუდოდ, მომდევნო წლის ზაფხულისთვის, სამინისტროსთან ერთად, ვგეგმავთ ახალი საგამოცდო სისტემის პრეზენტაციას. რაც შეეხება მომდევნო წელს, მასშტაბური ცვლილებები ნამდვილად არ განხორციელდება, 2020 წლიდან კი, საგამოცდო სისტემაში, სრულიად ახალ ეტაპს დავიწყებთ.“* – განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარემ.

ᲚᲐᲚᲘ ᲯᲔᲚᲐᲫᲔ

გამომცემლობა „დიოგენე“ წარმოგიდგენთ

მშობლიური ენა I
ავტორები:
ნესტან კუპრავა, დოდო ნაზირიშვილი, მზია ფოფხაძე, მაია ხაზიური

მოსწავლის წიგნი (ორ ნაწილად)+ მასწავლებლის წიგნი+ მოსწავლის რვეული

✓ რაში მდგომარეობს კითხვის ფსიქოლოგიის პრობლემები, როგორ კითხულობს ადამიანი, ასო-ასო თუ მთლიანი სიტყვებით?

ამ საკითხზე არსებობს განსხვავებული მოსაზრებები: ა) აღქმული ასოები იწვევს ბგერების ასოციაციას, ამოკითხვა ხდება ასო-ასო; ბ) გეშტალტფსიქოლოგების აზრით, დაწერილი სიტყვის ხატი ცალკეული ასოების ჯამი კი არ არის, არამედ განაწევრებული მთლიანობა – გეშტალტია; გ) ფსიქოლოგთა აზრით, ბავშვი ვერ ამჩნევს თავის მეტყველებას, ვინაიდან მას ახასიათებს ეგოცენტრიზმი (ჟ. პიაჟე). სანამ ბავშვი თავისივე მეტყველების პროცესს არ გააცნობიერებს, იგი ვერ შეძლებს წინადადებიდან სიტყვის გამოყოფას, ამიტომ ფსიქოლოგებს საჭიროდ მიაჩნიათ გადმოცემის, ანუ თქმის პროცესის გაცნობიერება, მისი ობიექტივაცია, დაკვირვების საგნად ქცევა. აქედან გამომდინარე, ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ წინასაანბანო სამუშაოს: საუბრებს, ამბის გადმოცემას და ა.შ.

პერცეფციულ ფონეტიკაში ცნობილია, რომ ბავშვი სიტყვის წარმოთქმისას ფონემად მარცვალს აღიქვამს. დაწერილი მარცვალი ბავშვმა მთლიან ფონემად რომ აღიქვას, ამისათვის საჭიროა ამ მარცვლის სიტყვაში შემჩნევა. რაც უფრო მეტი ორგანო მონაწილეობს აღქმაში, ადამიანი მით უკეთ აღიქვამს და შემდეგ აცნობიერებს წაკითხულს. თავისთავად ცხადია, სიტყვის სმენით დამარცვლასა და პირიქით, მარცვლების სიტყვებად გამთლიანებაში მას ძალიან დაეხმარება მხედველობითი აღქმა. სასურველია, რომ მარცვალ-სიტყვის გეშტალტს ბავშვი მხედველობითაც აღიქვამდეს. სწორედ ამ აზრითაა ნაკარნახევი გამომცემლობა „დიოგენეს“ მიერ შემოთავაზებული ქართული ენის პირველი კლასის გრიფირებული სახელმძღვანელოს მთავარი პრინციპი – სიტყვის დანერა ფერად მარცვლებად. (მორიგეობით: წითელ-ლურჯ ფერებად).

უფრო კონკრეტულად, რას ეფუძნება გამომცემლობა „დიოგენეს“ გრიფირებული, ათწლიანი ისტორიის მქონე, უკვე კარგად აპრობირებული და განახლებული I კლასის „მშობლიური ენის“ სახელმძღვანელო, **რომელიც მასწავლებლებს პირველკლასელებისთვის წერა-კითხვის სწავლებაში ეფექტურად დაეხმარება,** ამის შესახებ ავტორთა ჯგუფი საუბრობს და საკუთარ გამოცდილებას უზიარებს კონკრეტული მეთოდების შესახებ დაწყებითი კლასის ათასობით პედაგოგს, მათ, ვინც უკვე ასწავლის გამომცემლობა „დიოგენეს“ სახელმძღვანელოთი – „მშობლიური ენა“.

✓ რაში გამოიხატება ფერადი მარცვლებით სწავლების ეფექტურობა, რომელიც სახელმძღვანელოს ეფექტურობას უსვამს ხაზს?

ნესტან კუპრავა: სახელმძღვანელო, ერთი მხრივ, ეფუძნება ტრადიციულ, მეორე მხრივ, თანამედროვე ნოვატორულ მეთოდიკას. მისი მთავარი ღირებულება და მახასიათებელია, ბავშვებმა სწრაფად, ხარისხიანად და გააზრებულად ისწავლონ წერა-კითხვა; ფერად მარცვლებზე აგებული სწავლების პრინციპით მოსწავლეს არ უჭირს სიტყვის გამთლიანება. ფერადი მარცვლების მეთოდიკა ჩვენთვის შემოთავაზებულია პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის, მეთოდისტის, აწ გარდაცვლილი დოდო ნაზირიშვილის მიერ, რომელიც, ამავდროულად, სახელმძღვანელოს თანაავტორი გახლდათ.

ქალბატონი დოდო ნაზირიშვილის ეს მეთოდური სისტემა, ძირითადად, გოგებაშვილისეულ მარცვალთა სისტემას ეფუძნება. როგორც მოგეხსენებათ, იმ დროს არ არსებობდა ფერადი ბეჭდვა, თუმცა, რომ ყოფილიყო, იქნებ გოგებაშვილსაც მარცვლები ფერადად დაებეჭდა, რადგან ის თურმე წუხდა, რომ მარცვლებს შორის გამოყენებული იყო დეფისი, რომელიც ხელს უშლიდა მათ სიტყვებად გამთლიანებას. ჩვენი ენის მელოდიურობიდან და რიტმულობიდან გამომდინარე, ბავშვი მარცვალს უფრო აღიქვამს ფონემად, ვიდრე ბგერას. როდესაც ფერადი მარცვლებით ვასწავლით, მას არ უჭირს გამთლიანება – სიტყვის გეშტალტის მთლიანობის აღქმა. ამ მეთოდით ადვილად შეიძლება ჩამოვიდეთ ბგერამდე და, ავიდეთ სიტყვამდე – ანუ გავამთლიანოთ სიტყვებად ან დავშალოთ ასო-ბგერებად. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ შეთავაზებული მეთოდი ძალიან მოხერხებული და იოლი გზაა, რაც შეიძლება ადვილად აღიქვას მოსწავლემ მარცვალი და სიტყვა. ვერ ვიტყვი, რომ ფერადი მარცვლების სისტემა მთლიანად აღმოფხვრის სიტყვის გამთლიანების პრობლემას, მაგრამ ფაქტია, რომ იგი ეფექტურად უწყობს ხელს სიტყვის გამთლიანებას.

✓ რატომ უადვილდება ბავშვს კითხვა სწორედ ამ მეთოდით?

ქართული ენის სპეციფიკიდან (რიტმულობა, მელოდიურობა) გამომდინარე, სიტყვის დამარცვლა მარტივია. ექვსწლიან ბავშვებში შემჩნეულია ბუნებრივი უნარი, რომლის წყალობითაც ისინი ღიამარცვლიან სიტყვებს თავისუფლად და სწორად მარცვლავენ ყოველგვარი სწავლების გარეშე. **ბავშვებში ეს ხდება რიტმის შინაგანი ბუნებრივი გრძნობის წყალობით.** „ფერადი მარცვლები“ ბავშვს სწორედ გამთლიანების სიძნელეს უადვილებს. ცალკე, ერთი ფერით დაწერილი მარცვალი ბავშვს იმისთვის განაწყობს, რომ ეს მარცვალი ერთ მთლიანობად აღიქვას. გარდა ამისა, საჭირო არ არის მარცვლებს შორის დეფისების ჩასმა. დეფისები ხელს უშლის სიტყვის გამთლიანებას, თანაც სიტყვას მთლიანობას უკარგავს. მარცვლებით დაწერილი სიტყვა თან მთლიანია (ვინაიდან მეზობელი სიტყვებისგან სივრცითაა გამოყოფილი), თან დანაწევრებულია. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის გეშტალტის საუკეთესო ფორმა. სიტყვის ფერად მარცვლებად გამოსახვა პირველკლასელს ეხმარება, სმენით აღქმული მარცვალი ვიზუალური აღქმითაც განამტკიცოს.

მარცვლის მოსმენა, მისი მთლიანად დანახვა და წარმოთქმა მარცვლის ასოთა შერწყმით წარმოთქმის პრობლემას ხსნის, გარდა ამისა, მარცვლები სიტყვებად გაცილებით ადვილად მთლიანდება.

სახელმძღვანელო ფუნქციონირებდა ათი წლის წინაც, რამდენიმე წელი იმუშავა სკოლებში, თუმცა წინა გრიფირებისას (2011 წელს) მოითხოვეს სახელმძღვანელოთა სერია 1-6 კლასის ჩათვლით, რომლის მომზადებაც ავტორთა ჯგუფმა ვერ მოასწრო. აქედან გამომდინარე, ობიექტურად შეწყდა გრიფირება. წლების შემდეგ, სახელმძღვანელო დაიხვეწა, განახლდა და მიმდინარე გრიფირების კონკურსზე წარმოვადგინეთ იმ სახით, რაც ახლა გვაქვს.

ვფიქრობ, ჩვენ მიერ შექმნილი სახელმძღვანელო მასწავლებლებს ეფექტურ დახმარებას გაუწევს. გარდა იმისა, რომ იგი ხელს შეუწყობს წერა-კითხვის სწრაფად და ხარისხიანად სწავლებას, ის საუკეთესო რესურსად იქცევა სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის დროსაც. მისი ეფექტურობა საკუთარ პრაქტიკაშიც გვაქვს გამოცდილი. ამ სახელმძღვანელოთი გვიმუშავია როგორც ნიჭიერ, ისე სსსმ მოსწავლეებთან. პირველ შემთხვევაში ის მოსწავლეებს ეხმარება, სწრაფად შეისწავლონ წერა-კითხვა და გადავიდნენ უფრო რთულ ტექსტებზე, ხოლო მეორე შემთხვევაში – შეძლებისდაგვარად სწრაფად დაძლიონ სიტყვათა გამთლიანების სირთულე.

✓ როგორია სახელმძღვანელოს სტრუქტურა?

მაია ხაზიური: სახელმძღვანელო გაყოფილია წინასაანბანო, საანბანო და ანბანისშემდგომ პერიოდებად.

წინასაანბანო პერიოდში მიმოიხილება ისეთი საკითხები, რომლებიც ნაცნობია ბავშვისთვის, მაგრამ უფრო გააფართოებს მის ცოდნას, განუვითარებს სივრცითი მიმართებების ამოცნობის უნარს. მოსწავლე შეძლებს საგანთა კატეგორიზებას, დაჯგუფებას, მარტივ ინტრაქციებში ჩაბმას, საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების დაკავშირებას ნასწავლთან, გაგონილთან. მნიშვნელოვნად განუვითარდება მოტორული უნარ-ჩვევები, ბავშვი მოემზადება წერისთვის.

სახელმძღვანელოს თემატიკა: სასკოლო და საკლასო საქმიანობები, სკოლაში ქცევის წესები, ურთიერთობა თანაკლასელებთან და მასწავლებელთან, რატომ ვსწავლობთ, მე და ჩემი ოჯახი, სათამაშოები და სასწავლო ნივთები, წელიწადის ოთხი დრო, საშემოდგომო შრომა-საქმიანობა, შინაური და გარეული ცხოველები, შინაური და გარეული ფრინველები, საოცარი ცხოველები, ზღაპრების პერსონაჟები, **ჩვენი სამშობლო, ჩვენი ენა, რას ვსაქმიანობთ.** ამ თემატიკაზე საუბრის დასრულების შემდეგ, უკვე გადავდივართ ბოლო გაკვეთილზე, რომელსაც ვუწოდეთ „ჩვენი ლამაზი დედამიწა“. ვაცნობთ მოსწავლეებს, რომ ჩვენც ისევე ვცხოვრობთ დედამიწაზე, როგორც დანარჩენი ადამიანები და ისევე გვიყვარს იგი, როგორც ჩვენი სამშობლო. ამ დასკვნით გაკვეთილზე მოსწავლეებს მხოლოდ იმის საილუსტრაციოდ ვთავაზობთ სხვადასხვა დამწერლობის ნიმუშებს, რომ სანამ თვითონ დაიწყებდნენ მშობლიურ ენაზე წერის შესწავლას, დაინახონ, რამდენად განსხვავებულად (სხვადასხვა მიმართულებით, სხვადასხვა მოხაზულობის ასოებით და ა.შ.) წერენ მსოფლიოს ხალხები. მაგალითად, ჩინელები და იაპონელები წერენ ზევიდან ქვევით, არაბები – მარჯვნიდან მარცხნივ, ჩვენ კი – ბევრი სხვა ეროვნების ადმიანების მსგავსად – მარცხნიდან მარჯვნივ. გვინდა, გაიგონ, რომ დედამიწა მსოფლიოს მრავალფეროვნებაა.

საანბანო პერიოდი სამ ნაწილადაა დაყოფილი: საანბანო პერიოდში მოსწავლეები, ყოველკვირეულად ორ-ორ ასო-ბგერას გაეცნობიან.

I ეტაპზე ცხრა ასო-ბგერას და მათთან დაკავშირებულ ტექსტებს მოსწავლეები ფერადი მარცვლებით ისწავლიან. ორ ფერში წარმოდგენილ სიტყვას-მარცვლებს ბავშვები აღიქვამენ, როგორც „დანაწევრებულ მთლიანს“, ამდენად, მათ არც სიტყვის დანაწევრება გაუჭირდებათ და არც მარცვლების სიტყვებად გამთლიანება. ამ ეტაპზე დაიძლევა კითხვის გარკვეული პრობლემები, მოსწავლეებს კი ჩამოუყალიბდებათ მარცვლების ამოკითხვის უნარ-ჩვევები.

II ეტაპზე ბავშვები ფერადი მარცვლებით საანალიზო სიტყვებს წაიკითხავენ, ძირითადი ტექსტი კი შავ-თეთრი გახდება. მეორე ეტაპი დასრულდება მეთექვსმეტე ასო-ბგერის – ნ-ს გაცნობით. ამ დროისთვის მოსწავლეს უკვე შეეძლება სიტყვის ანალიზი, ასოსა და სიტყვის გამოწერა, მისი კითხვისა და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები საგრძნობლადაა განვითარებული და უკვე გარკვეული ლექსიკური მარაგი ექნება დაგროვილი.

III ეტაპი იწყება მეჩვიდმეტე ასოდან და გრძელდება ბოლომდე. ამ პერიოდში მოსწავლე უფრო განავითარებს კითხვის მოქნილობას, იგი უკვე შეძლებს წინადადების სრულ ანალიზსა და სინთეზს, წაკითხულის გააზრებას, ენობრივ ერთეულებზე დაკვირვებას, წერითი სავარჯიშოების შესრულებას, მათ შორის, წინადადებების გამოწერას. ამ ეტაპზე საანალიზო სიტყვები ფერადი მარცვლებით ამოიკითხება, მაგრამ მათი წილი თანდათან შემცირდება, ძირითადი ტექსტი შავ-თეთრი იქნება.

კვირის განმავლობაში, მეშვიდე საგაკვეთილო საათი, შესწავლილი მასალის განმტკიცება-შეჯამებას – **„შემაჯამებელ გაკვეთილებს“** – დაეთმობა. შემაჯამებელი გაკვეთილებისთვის საჭირო დამატებითი მასალა მასწავლებლის წიგნში უხვადაა, დეტალურად არის განხილული ყოველი გაკვეთილი და აქტივობა.

ე.წ. „პარასკევის გაკვეთილებზე“ განხორციელდება შემდეგი აქტივობები: თემის შესატყვისი, მცირე მოცულობის ლიტერატურული ტექსტების მოსმენა და გაგება-გააზრება, როლური და შემეცნებითი თამაშები, ხატვა მითითებულ თემებზე, სწავლა კეთებით, პლასტილინის ფიგურების ძერწვა (სურვილის შემთხვევაში), საკლასო გამოფენები, სწავლა ბუკების გამოყენებით და ა.შ.

ანბანისშემდგომ პერიოდში (90 გაკვეთილი) პირველკლასელი მოსწავლე ჟანრობრივად მრავალფეროვან ლიტერატურას გაეცნობა. საკითხავი ტექსტების შერჩევას საავტორო ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ. შერჩეული ტექსტები ითვალისწინებს პირველკლასელთა ასაკობრივ თავისებურებებს. **მოსწავლის რვეულში** წერითი სავარჯიშოები უფრო გართულდება და მრავალფეროვანი გახდება: წერა კარნახით, დაფიდან და წიგნიდან გადაწერა, მარტივ კითხვებზე პასუხის გაცემა, სიტყვაგამოტოვებული წინადადებების შევსება.

✓ ძალიან საინტერესოა სახელმძღვანელოში გამოყენებული ვიზუალური მასალა, რატომ ჭლასტილინის ფიგურები?

მზია ფოფხაძე: ცნობილი პედაგოგები სწავლებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თვალსაჩინოების როლს. თვალსაჩინო სწავლებას პირველდაწყებითი სწავლების საფუძვლად მიიჩნევდნენ, უშუალო გრძნობად აღქმაში კი ისინი ხედავდნენ აზროვნების განვითარების საფუძველს. მათი აზრით, ცნებები უნდა დაფუძნებოდა წარმოდგენებს, ხოლო წარმოდგენები – შეგრძნებებს. თვალსაჩინოებას მიიჩნევდნენ გააზრებული სწავლების საწყის ეტაპად, რომლის გარეშე ცნებები შინაარსს კარგავს და არაფრისმთქმელი ხდება.

თვალსაჩინოების გამოყენების ფარგლები, ზომა და საფეხურები საგულდაგულოდ უნდა იყოს დამუშავებული, რათა აზროვნების განვითარების ნაცვლად, შემაფერხებლად არ იქცეს. ცნობილი მეცნიერი ბრუნერი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ თვალსაჩინოება მხოლოდ ზომის ფარგლებშია კარგი. უზნაძე მიიჩნევს, რომ ჭარბი თვალსაჩინოება შემაფერხებელია ცნებითი აზროვნების ისეთი განვითარებისთვის, რომლის გარეშე ადამიანი ვერ დააღწევდა თავს ცხოველურ დონეს, იმწამიერად მოცემულ, შემთხვევით, ერთეულ შთაბეჭდილებათა და აქტუალური აღქმის ტყვეობას. ცნებათა გარეშე ადამიანი თავს ვერ დააღწევდა ქცევის იმპულსურობას. ხელოვნების აღქმა სუბიექტურია. მთავარია ვიცოდეთ, თუ ვისი პოზიციიდან შევაფასებთ ჩვენს სახელმძღვანელოში გამოყენებულ ილუსტრაციებს – უფროსების თუ ბავშვების? რომელი უფრო მნიშვნელოვანია – უფროსებს რა მოგვწონს თუ 6-7 წლის ბავშვს რა მოეწონება? რატომ უყვართ ამ ასაკის ბავშვებს თოჯინური ფილმები, რატომ დადიან ისინი თოჯინების თეატრში, როგორი სათამაშოები მოსწონთ...

როცა ვფიქრობდით, როგორი ილუსტრაცია იქნებოდა უფრო აღქმადი, ბავშვების ინტერესებზე, მოტივაციასა და აღქმაზე დაკვირვებით მივიღეთ გადაწყვეტილება, გადაგვედგა ასეთი გაბედული, შეიძლება ითქვას, თამამი ნაბიჯი – ილუსტრაციებად პლასტილინის ფიგურები გამოგვეყენებინა. ვფიქრობთ, რომ შევძელით დაგვეცვა სახელმძღვანელოს გაფორმების საუკეთესო პრინციპები. წიგნი გაფორმებულია ანიმატორების: ია გიგოლაშვილისა და ნანა მელქაძის მიერ შექმნილი, პლასტილინისგან გამოძერწილი ფიგურების სამგანზომილებიანი ილუსტრაციებით. გაფორმების ეს ორიგინალური ხერხი დადებით ემოციურ ეფექტს ახდენს ბავშვებზე და მათში „მსგავსის შექმნის“ სურვილს აღვიძებს. სურვილის შემთხვევაში, მასწავლებლებს შეუძლიათ, შემაჯამებელ გაკვეთილებზე, ბავშვებს გამოაძერწინონ მსგავსი ფიგურები, ასაუბრონ მათზე. ეს განავითარებს მოსწავლეთა მოტორულ უნარებსაც. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ არის ჩვენი უპირობო მოთხოვნა.

ვავრძელებთ მუშაობას სახელმძღვანელოსთვის ახალი, დამატებითი სასწავლო რესურსის შექმნაზე (საკითხავი/მოსასმენი ტექსტები, სავარჯიშოები, ანბანისშემდგომ პერიოდში კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის კრებული, მეთოდური რეკომენდაციები).

ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის მისაღებად თვალი ადევნეთ გამომცემლობა „დიოგენეს“ ვებგვერდს. როგორც გამომცემლობა, ისე პირველი კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს ავტორთა ჯგუფი მზად არის თქვენთან თანამშრომლობისთვის!

მანდატურის სამსახური

რას ითვალისწინებს ცვლილებები

სკოლებში უსაფრთხოების გაძლიერებისა და მოზარდთა შორის სამართალდარღვევების პრევენციის მიზნით მომზადებული კანონპროექტი ძალაში შევიდა. მანდატურის სამსახურის საქმიანობაში შეტანილი ცვლილებების მიზანია მანდატურის უფლებამოსილების გაზრდა, სკოლებში მომხდარ ინციდენტებზე მყისიერი კვალიფიციური რეაგირების უზრუნველყოფა. შეიცვალა მანდატურთა დანიშვნის წესიც, კანდიდატის მიმართ ახალი მოთხოვნები განისაზღვრა. მოსამზადებელი კურსები, სწავლების სხვა კომპონენტებთან ერთად, ფიზიკურ მომზადებასაც მოიცავს.

მანდატურის სამსახურს ახალი ფუნქციაც დაეკისრა – საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

მანდატურის სამსახურის რეფორმის ფარგლებში, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში შეტანილ ცვლილებებზე ვესაუბრეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილეს, კონსტანტინე ანჯაფარიძეს.

– კონკრეტულად რა ცვლილებები შევიდა კანონში?

– ზოგადი განათლების კანონში ცვლილებების შეტანის მიზანი იყო მანდატურის სამსახურის ეფექტურობის გაზრდა. საგანგებოდ შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა იმუშავა კანონპროექტზე, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ მანდატური უკეთ დაიცვას მოსწავლეების უსაფრთხოება სკოლის ტერიტორიაზე. ცვლილებები ბევრი მიმართულებით დაიგეგმა და მრავალ საკითხს მოიცავს – ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, ეტაპობრივად, აღიჭურვება სათვალთვალო კამერებით; მანდატურები, პირადი გასინჯვის ნაცვლად, ჩაატარებენ ზედაპირულ დათვალიერებას მეტალოდეტექტორის დახმარებით, ამის უფლება ეძლევა იმავე სქესის მანდატურს, რა სქესისაც არის მოსწავლე, რომლის დათვალიერებაც ხდება. მართალია, ეს აქამდეც ასე ხდებოდა, მაგრამ ახლა უკვე კანონის დონეზე განისაზღვრა.

ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ძლიერდება მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური ცენტრი და სკოლაში არსებული ფსიქოლოგები მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური ცენტრის კოორდინაციის ქვეშ მოდიან. კანონში გაიწერა, რომ განათლების სამინისტრომ უნდა შექმნას უსაფრთხოების წესები, სადაც დეტალურად იქნება განსაზღვრული, როგორ მოქმედებს სკოლა – მანდატური, სკოლის ადმინისტრაცია, მშობლები და სხვ. – სხვადასხვა სიტუაციაში, როგორ ახორციელებენ სამართალდარღვევის პრევენციას ან რეაგირებენ უკვე მომხდარ დარღვევებზე. მიმდინარეობს ამ დოკუმენტის საბოლოო განხილვა, უახლოეს დღეებში დამტკიცდება და მასში მრავალი სიახლე იქნება სკოლებისთვის.

– რა არის მაინც ამ სიახლეთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი?

– მაგალითად ის, რომ სკოლაში იქმნება უსაფრთხოების საბჭო, რომელიც გარკვეული პერიოდულობით შეიკრიბება (ვთქვათ, კვირაში ერთხელ) და იმსჯელებს სკოლისათვის პრობლემურ საკითხებზე, დაგეგმავს მათი გადაჭრის გზებს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მანდატურის სამსახური შეიმუშავებს კითხვარებს, უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის ფსიქოლოგიურ კითხვარებს და შემდგომში სკოლა (სკოლის დირექტორი) უზრუნველყოფს, რომ ისინი მოსწავლეებმა შეავსონ. კითხვარების შევსების შემდეგ მასალა გაანალიზდება და, სათანადო დასკვნის საფუძველზე, დაიგეგმება ღონისძიებები.

მანდატურის სამსახური ყოველწლიურად შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლებისთვის. შევისწავლით, რა პრობლემები აქვს თითოეულ კონკრეტულ სკოლას და, აქედან გამომდინარე, მივცემთ რეკომენდაციებს. დარწმუნებული ვარ, სკოლები ამ რეკომენდაციებს შეასრულებენ.

– ვინ იქნებიან სკოლის უსაფრთხოების საბჭოს წევრები?

– ამის განხილვა-დაზუსტება ახლა მიმდინარეობს. საბჭოს შემადგენლობაში, რა თქმა უნდა, აუცილებლად იქნება სკოლის ადმინისტრაცია, ასევე მანდატური (რადგან უსაფრთხოების საკითხებს შეეხება), შეიძლება საჭირო გახდეს ჩვენი ფსიქოლოგიური ცენტრის თანამშრომლების მიწვევა ან, გარკვეულ კონკრეტულ მომენტში, სხვა სტრუქტურების ჩართვა, როგორიცაა, მაგალითად, სოციალური სააგენტო ან, გარკვეულ ქეისთან დაკავშირებით – მართლწესრიგის ოფიცრის. გადაწყვეტილების მიღება ყოველი კონკრეტული პრობლემიდან გამომდინარე მოხდება. ჯერ არ არის ზუსტად განსაზღვრული.

– მშობელი თუ იქნება საბჭოს წევრი?

– რა თქმა უნდა, მშობელიც შეიძლება იყოს საბჭოს წევრი. როგორც გითხარით, ზუსტად ახლა მიდის განხილვა, ვინ უნდა შევიდეს საბჭოს შემადგენლობაში და როგორ უნდა იმუშაოს ამ ორგანომ.

სიახლეა ის, რომ ყველა სკოლაში იქნება ანონიმური ყუთები, სადაც მოსწავლეებსა და მშობლებს შეეძლებათ ჩააგდონ თავიანთი მოსაზრებები არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით. სკოლა ვალდებულია, ეს პრობლემები განიხილოს და გადაწყვეტის გზებიც დაგეგმოს. ასევე ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ მანდატურის სამსახურს, ახალი კანონის თანახმად, ევალება ანტიძალადობრივი, ანტიბულინგური პროგრამების შემუშავება და სკოლებში დანერგვა.

რა თქმა უნდა, ყველა ეს ცვლილება ეტაპობრივად განხორციელდება და არა ერთდროულად. დარწმუნებულები ვართ, ცვლილებების ერთობლიობით უფრო მეტად დაცულ გარემოში ისწავლიან ჩვენი მოსწავლეები.

– ეტაპობრივად განხორციელება დროის რა მონაკვეთს მოიცავს?

– გააჩნია საკითხს, მაგალითად, უსაფრთხოების წესები სექტემბრიდანვე შევა ძალაში, ხოლო, რაც შეეხება სკოლების ვიდეოსათვალთვალო კამერებით აღჭურვას, შეიძლება ერთ წელიწადში ვერ დამთავრდეს, რადგან არ არის მარტივი პროცესი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საუბარია 2-3 წელზე იმიტომ, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით უნდა მოხდეს სკოლების კამერებით აღჭურვა.

– რა ნიშნით განისაზღვრება კამერების დამონტაჟების თანმიმდევრობა – პირველ რიგში სად დამონტაჟდება და სად – მოგვიანებით?

– ამ საკითხსაც საგანგებოდ შევისწავლით და ეტაპობრივად დავგეგმავთ. იმ სკოლებში, სადაც მანდატურები არიან, ვიდეოსათვალთვალო კამერები ისედაც არის, მარტო ოთხ სკოლაში არ არის, უფრო სწორად კამერები არის, მაგრამ გამოსულია მწყობრიდან, მოძველებული ტექნიკაა, რადგან უკვე 8-9 წელია, რაც დამონტაჟდა და დამერწმუნებით, უნდა შეიცვალოს. ალბათ გავეცნობით სკოლებს და სადაც მეტი საჭიროება იქნება, ჯერ იქ დამონტაჟდება და შემდგომში უკვე სხვა სკოლებში. კანონით გვაქვს ვალდებულება, რომ ყველა საჯარო სკოლა იყოს აღჭურვილი ვიდეოსათვალთვალო კამერებით.

ჩემი აზრით, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ცვლილებები, რომლებიც პრევენციაზე მუშაობასა და მშობლების ჩართულობას მოიაზრებს. უკვე დეტალურად გაიწერა ვის რა მოვალეობა აკისრია სკოლაში და, სამართალდარღვევის ან სხვა შემთხვევაში, ვინ რა ქმედებას ახორციელებს. მაგალითად, პრობლემური ქეისი რომ ავიღოთ, სკოლაში ყველას ეცოდინება ვინ რა როლი უნდა შეასრულოს და როგორ იმოქმედოს. მანდატურის სამსახურის ბაზაზე შეიქმნა, ასევე, კრიზისული ინტერვენციის ჯგუფები, რომლებიც პრობლემური ქეისების შემთხვევაში, სკოლას ადგილზე დაეხმარებიან პრობლემების გადაჭრაში. ამ სერვისით სარგებლობის უფლება სკოლებს ამ სემესტრიდანვე აქვთ.

მომზადდა ძალადობის საიტი – befriend.mes.gov.ge, სადაც მოსწავლეებს, მშობლებს, მასწავლებლებს თუ სხვა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ, რა არის ძალადობა და როგორ ვებრძოლოთ. იქვე მითითებულია ცხელი ხაზის ნომერი – 0800000088 (მანდატურის სამსახურს 24-საათიანი ცხელი ხაზის სამსახური აქვს), სადაც შეიძლება დარეკოთ და გაგიწევენ უფასო ფსიქოლოგიურ მომსახურებას, დაგეხმარებიან ყველა პრობლემის გადაჭრაში.

– სასწავლო წლის დასაწყისში განათლების სიტემის ახალი რეფორმის პრეზენტაცია გაიმართა. ხომ არ შეეხება მანდატურის სამსახურს სტრუქტურული ცვლილებები?

– ჩვენ მუდმივად ვვითარდებით, ამიტომ, დღეს შეიძლება არ იყოს საჭირო, მაგრამ ხვალ დადგეს გარკვეული სტრუქტურული ცვლილებების აუცილებლობა. ამ ეტაპზე, შემიძლია გითხრათ, რომ არ იგეგმება, რადგან ახლახან შევიდა ცვლილება კანონში და შეიცვალა სტრუქტურა. როგორც ცნობილია, კანონით ასე იყო განსაზღვრული – მანდატურს ნიშნავდა და ათავისუფლებდა სკოლის დირექცია, ახლა მას ნიშნავს და ათავისუფლებს მანდატურის სამსახურის უფროსი. ეს მნიშვნელოვანი ცვლილებაა სტრუქტურაში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ თუ დირექტორს დასაბუთებული პოზიცია ექნება, რატომ არ უნდა ეს მანდატური და ურჩევნია სხვა, რა თქმა უნდა, გავითვალისწინებთ. ესეც კანონშია განერილი – აუცილებლად მოვუსმინოთ დირექციას. აქედან გამომდინარე, მანდატურის დანიშვნასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება არ იქნება ერთპიროვნული.

– ამ სასწავლო წელს თუ გაფართოვდება იმ სკოლების რაოდენობა, სადაც მანდატურის სამსახურია შესული?

– დიახ, ზუსტად ახლა ვიწყებთ მანდატურების გადამზადებას და, სემესტრის ბოლომდე, 20 საჯარო სკოლაში ვაპირებთ შესვლას. მანდატურის სამსახური თბილისის ყველა საჯარო სკოლაშია, ახალი ოცი სკოლა რეგიონებში დაგვემატება. მნიშვნელოვანია ახალი პროექტი – კანონით დაგვევალა, რომ მცირეკონტინგენტიან სკოლებში, სადაც 200 ბავშვზე ნაკლებია, მანდატურის სამსახური ადმინისტრაციის ერთ-ერთ წარმომადგენელს გადაამზადებს უსაფრთხოების საკითხებში. ის იმავე უნარ-ჩვევებით აღიჭურვება, რაც მანდატურს აქვს და და სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე იქნება პასუხისმგებელი.

გადამზადების პროცესი დაწყებულია და რამდენიმე რეგიონში უკვე მომზადდა სკოლის წარმომადგენელი. ახლა მიდის ზუსტი გაწერა, როგორ იმუშაონ. ეტაპობრივად ყველა საჯარო სკოლას ეყოლება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ეცოდინება, როგორ იმოქმედოს ამა თუ იმ კრიზისულ ვითარებაში. ისინი, იმავდროულად, მიბმული იქნებიან ფსიქოლოგიურ ცენტრებთან და ფსიქოლოგიურ მომსახურებასაც მიიღებენ.

– დაიწყო თუ არა თანამშრომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და რა ფორმით წარიმართება?

– ჩვენ ისედაც ძალიან მჭიდროდ ვთანამშრომლობდით, ბოლო წლის განმავლობაში 3500-ზე მეტი შეტყობინებაა შესული შინაგან საქმეთა სამინისტროში, მანდატურის სამსახურიდან, სავარაუდო დანაშაულის შესახებ. დამემოწმებით, რომ ეს ძალიან დიდი ციფრია. ახალი ცვლილებები უფრო სისტემატურ ურთიერთობას გულისხმობს და დეტალურადაა გაწერილი ვის და როგორ ვუკავშირდებით, ასევე, მათ რა წვდომა შეიძლება ჰქონდეთ ჩვენს ბაზებთან, რომ ნახონ ონლაინრეჟიმში, სად რა დარღვევა ხდება. მუშაობა გრძელდება და დეტალურად გაიწერება, რა სახის თანამშრომლობა შეიძლება იყოს ჩვენ შორის. კანონმა და კანონმდებლებმა დაგვავალეს, რომ ეს წესი შევიმუშაოთ.

– რა შემთხვევაში უკავშირდებით შინაგან საქმეთა სამინისტროს? რა უნდა მოხდეს, რომ ამის საჭიროება დადგეს?

– იცით, რომ მანდატურს სპეციალური გადამზადება აქვს გავლილი და თუ შეატყობს, რომ მოხდა სავარაუდო დანაშაული ან მოსწავლის ქმედება შეიცავს სავარაუდო დანაშაულის ნიშნებს, იგი ვალდებულია, დაუკავშირდეს პოლიციას. ვთანამშრომლობთ პრევენციის კუთხითაც და თუ ვიცით, რომ, სავარაუდოდ, ბავშვს რაღაც პრობლემა აქვს და სკოლიდან რომ გავა, შეიძლება რაიმე საფრთხე დაემუქროს, მაშინ ხდება შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმირება.

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ წლის განმავლობაში 3500-ივე მიმართვა შინაგან საქმეთა სამინისტროში დანაშაულის შემთხვევაში მოხდა, უმეტესობა, რა თქმა უნდა, პრევენციის შემთხვევები იყო. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ მძიმე დანაშაულს თვითონ სკოლის ტერიტორიაზე, ბოლო წლების განმავლობაში, ადგილი არ ჰქონია.

– ალბათ გვერდს ვერ ავუვლით 51-ე სკოლაში მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევას, რომელსაც ორი მოსწავლის სიცოცხლე შეეწირა. დაასრულა მუშაობა საპარლამენტო კომისიამ, რომელმაც, სხვებთან ერთად, სკოლის მანდატურებიც გამოკითხა. ამ ფაქტთან დაკავშირებით თუ ჩატარდა მანდატურის სამსახურში შიდა მოკვლევა და ხომ არ გამოიკვეთა რაიმე დარღვევა მანდატურების მხრიდან?

– კომისიის სხდომაზე დაბარებული იყვნენ მხოლოდ მანდატურები, ხელმძღვანელობა არ გამოუძახიათ.

– იგივე მანდატურები არიან 51-ე სკოლაში?

– მანდატურების როტაცია ჩვეულებრივი პროცესია და ხშირად ხდება არა მარტო ამ სკოლაში. არსებობს კონკრეტული მიზეზები, იმ დროს ესა თუ ის კონკრეტული მანდატური რატომ შეიძლება გვჭირდებოდეს სხვაგან და უკეთესი იყოს მისი გადაყვანა. ხდება სკოლების შესწავლა და აქედან გამომდინარე ვიღებთ გადაწყვეტილებას. შემიძლია გითხრათ, რომ ის მანდატურები, ვინც იმ დროს 51-ე სკოლაში მუშაობდნენ, ისევ აგრძელებენ მანდატურებად მუშაობას ჩვენს სამსახურში.

– რით იწყებს მანდატურის სამსახური ახალ სასწავლო წელს?

– პირველ რიგში, შევარჩევთ კადრებს, გადავამზადებთ და შევალთ ახალ საჯარო სკოლებში. ასევე, დაიწყება მოქმედი მანდატურების გადამზადება, რადგან გადამზადების კურსიც შეიცვალა და მანდატურების მიღების წესიც. ადრე საკმარისი იყო სრული ზოგადი განათლება, ახლა, სრულ ზოგად განათლებასთან ერთად, მანდატურს უნდა ჰქონდეს პროფესიული ან უმაღლესი განათლება. შეიცვალა მოსამზადებელი კურსიც, დაიხვეწა, უფრო მეტ საკითხს მოიცავს, მათ შორის, დიდი ყურადღება ეთმობა მანდატურების ფიზიკურ მომზადებას და სათანადო უნარ-ჩვევებს, რომ მათ შეძლონ კონფლიქტების მოგვარება, მედიაცია. გაიზარდა კურსის ხანგრძლივობა.

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ახალ კადრებს მოვამზადებთ, შემდეგ, ეტაპობრივად, მოქმედი მანდატურები გადამზადდებიან ახალი კურსის თანახმად იმ საგნებში, რომლებიც მოსამზადებელ კურსს ცვლილებების შემდგომ დაემატა. ოღონდ ეს არ მოხდება 1-2 დღეში და არც 1-2 თვეში, რადგან საუბარია 1200 ადამიანზე და, რა თქმა უნდა, ამ პროცესს დრო დასჭირდება.

ესაუბრა ლალი თვალაბეიშვილი

აქტუალური თემა

IBSU სამართლიანობის აღდგენის მოლოდინში

წლევანდელი ზაფხული განსაკუთრებით მძიმე და დატვირთული იყო იმ უმაღლესი სასწავლებლებისთვის, რომლებსაც 2018-2019 წლებში ამოეწურათ ან ეწურებოდათ 6-წლიანი ავტორიზაციის პერიოდი. ამჯერად პროცესებში საერთაშორისო ექსპერტებიც მონაწილეობდნენ და მნიშვნელოვანია, რომ 12-მა უმაღლესმა სასწავლებელმა ავტორიზაცია უპრობლემოდ მიიღო, მათ შორის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმაც, რომელსაც მოგვიანებით, თითქოსდა საბიუჯეტო დავალიანების გამო, საბჭოს გადაწყვეტილებით, ერთი წლით აეკრძალა პირველკურსელთა მიღება.

საზოგადოებისთვის ცნობილია უნივერსიტეტის პოზიცია – ისინი მიზანმიმართულ და უსამართლო პოლიტიკურ გადაწყვეტილებად აფასებენ მომხდარს. საპროტესტო გამოსვლებს მართავენ სტუდენტები. ახლა, როცა ყველანი სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების მოლოდინში არიან, ახალი საკანონმდებლო ინიციატივა გახდა ცნობილი, ავტორიზაციის ვადის 2020 წლის პირველ იანვრამდე გაგრძელების შესახებ, რასაც განათლების ექსპერტთა უარყოფითი შეფასებები მოჰყვა, თუმცა, ეს სხვა თემაა და მას სხვა დროს დავუბრუნდებით, ახლა მთავარი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ირგვლივ განვითარებული მოვლენებია და კიდევ ერთხელ მოვისმენთ უნივერსიტეტის წარმომადგენელთა არგუმენტებს, რის საფუძველზე აფასებენ უსამართლო პოლიტიკურ გადაწყვეტილებად საბჭოს მიერ გამოტანილ ვერდიქტს. ჩვენი თხოვნის მიუხედავად, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან კომენტარი არავინ გააკეთა, რადგან დირექტორი გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან; თავი შეიკავეს ავტორიზაციის საბჭოშიც, თუმცა პირად საუბარში აღნიშნავენ, რომ „პროცესი არასასურველად წარიმართა, ისე არა როგორც დაგეგმილი იყო“. რა იგულისხმება კონკრეტულად ამ სიტყვების მიღმა მხოლოდ მას შემდეგ ისაუბრებენ (ეს პირობა საბჭოს თავმჯდომარემ მოგვცა), როცა ყველაფერში გაერკვევიან.

ახლა კი უნივერსიტეტის წარმომადგენლების პასუხებს გთავაზობთ.

ზვიად ფიფია, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი: „ჩვენი პოზიცია ის არის, რომ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება სრულიად უსამართლო, აბსოლუტურად არალოგიკური და არარელევანტურია. ამ გადაწყვეტილებით, შეზღუდვა არა მარტო პირველკურსელებს, არამედ სამივე საფეხურს ეხება – დოქტორანტებს, მაგისტრებს, ასევე მობილობით მოსარგებლე პირებს. ფაქტობრივად, წელს ჩვენ ვერ შევძელით ვერცერთი ახალი სტუდენტის მიღება. მოვითხოვთ, რომ რაც შეიძლება შემჭიდროებულ ვადებში მოხდეს გადაწყვეტილების გადახედვა, გაუქმება და შესაბამისად, აღგვიდგეს ის უფლებები, რაც საბჭოს მიერ უსამართლოდ ჩამოგვერთვა. ვფიქრობ, უნდა დაუშვან გამონაკლისი, რათა გამოცხადდეს რიგგარეშე მობილობა და დაგვიბრუნონ ყველა ის აწ უკვე სტუდენტი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ვისაც ამის სურვილი ჰქონდა და დღესაც აქვს. იმედია, ასეთ შემთხვევაში ყველა სტუდენტს დავიბრუნებთ უკან.

უნივერსიტეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის დაკისრებულ ყველა, შვიდივე, სტანდარტს აკმაყოფილებს, მათთან მიმართებაში საბჭოს, პრინციპში, პრეტენზია არც ჰქონია. ერთ-ერთი სტანდარტი იყო, რომელიც ეხებოდა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და ინფრასტრუქტურას, შენობებს და ა.შ. სწორედ ამ მიმართულებით განხორციელდა შეტევა, პირდაპირი მნიშვნელობით. ჩვენ 2013 წლიდან ვახორციელებთ სასწავლო პროცესს და ამ მხრივ, არცერთ ეტაპზე, არ შეგვქმნია არანაირი პრობლემა. პირიქით, ყადაღის ფონზე უნივერსიტეტმა მოახერხა ის, რომ წლიდან წლამდე ჰქონდა უკეთესი და უკეთესი შედეგი, ყოველწლიურად ვითარდებოდა. რაიმე ტიპის რეგრესს უნივერსიტეტში ადგილი არ ჰქონია და შესაბამისად, არგუმენტები, რომ შეიძლება ყოფილიყო რაიმე ტიპის შემაფერხებელი გარემოება, არ ჩაითვლება სერიოზულ არგუმენტად. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ კომისიის წევრებმა, რომლებიც იკვლევდნენ უნივერსიტეტში არსებულ ვითარებას, საგანმანათლებლო თუ ფინანსური კუთხით, უნივერსიტეტის მიერ აღებული ყველა ვალდებულება დადებითად შეაფასეს. ისინი ცალსახად აცხადებდნენ, რომ უნივერსიტეტს არანაირი ფინანსური დაბრკოლება არ ჰქონდა. იმ გარემოებას, რომ უნივერსიტეტს დავა აქვს სასამართლოში, სტანდარტებთან კავშირი ნამდვილად არ აქვს. უნივერსიტეტებს, ისევე როგორც სხვადასხვა ბიზნესორგანიზაციებს აქვთ სხვადასხვა ტიპის ვალდებულებები, მათ შორის, აღიარებული ვალდებულებები. ეს ნორმალურია. უნივერსიტეტი იღებს სესხს იმისთვის, რომ განავითაროს ინფრასტრუქტურა და ა.შ. ეს ჩვეულებრივი ბიზნეს პროცესია და ამის მაგალითია უამრავი უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში. რატომღაც ცენტრმა გადაწყვიტა, რომ შეიძლება იყოს პოტენციური დაბრკოლება უნივერსიტეტის განვითარებისთვის, რაც სრული აბსურდია და საერთოდ, ვფიქრობ, მთელი ეს პროცესი სამართლებრივ ჩარჩოებს სცდება, საქმე გვაქვს გარკვეულ რეკეტთან და ფინანსურ გამოძალვასთან. ხარისხის განვითარების ცენტრის ფუნქცია ორგანიზაციებიდან თანხების ამოღება ნამდვილად არ არის. მათი თითოეული ქმედება მიმართული უნდა იყოს უნივერსიტეტის მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ და არა დრაკონული რეგულაციების გატარებისკენ. მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, ყველა ნორმის გათვალისწინებით, გაფრთხილება მოეცათ ჩვენთვის ან გარკვეული ვადები ამ თანხების გასტუმრებისათვის. ასეთი ფორმა, მათი მხრიდან, მისაღები იქნებოდა, შევეცდებოდით ეს საკითხი დღის წესრიგიდან დროულად მოგვეხსნა. მათ ეს არ გაითვალისწინეს და რეგისტრაციამდე ორი დღით ადრე გამოაქვეყნეს ინფორმაცია. ამით აბიტურიენტებს და უნივერსიტეტს საკმაოდ სერიოზული დარტყმა მოგვაყენეს, ეს ჩვენთვის ძალიან დიდი შოკი იყო. შედეგი, რაც დღემდე უნივერსიტეტმა მოიტანა, უზარმაზარი შრომის ნაყოფია, რაშიც ჩართულია უამრავი ადამიანური და ფინანსური რესურსი. გარდა ამისა, შეილახა აბიტურიენტების უფლებები, ფინანსური თვალსაზრისითაც ორმაგად დავზარალდით – 800 აბიტურიენტის მისაღებად ხომ სერიოზული ხარჯი გავწიეთ! მიუხედავად ყველაფრისა უნივერსიტეტი აგრძელებს მუშაობას, სასწავლო პროცესი ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობს.

ვინაიდან საბჭომ, ამავე სხდომაზე, 6 წლით მოგვანიჭა ავტორიზაცია, ეს იმაზე მეტყველებს, რომ სხვა, განსაკუთრებული პრეტენზიები, გარდა ფინანსური საკითხისა, მას არ ჰქონდა, რაც დასკვნაშიც კარგად ჩანს. აქ გარკვეული რეკომენდაციებია, რომელიც ეხება, მაგალითად, ლექტორების საათობრივ დატვირთვას, ტექნიკურ საკითხებს და ა.შ. ერთ-ერთ ინტერვიუში, საბჭოს თავმჯდომარის პასუხიდან აშკარად ჩანს, რომ ამ ადამიანებმა კარგად არც იცოდნენ რას უყრიდნენ კენჭს, მათ რატომღაც ეგონათ, ვინაიდან უნივერსიტეტის ქონება დაყადაღებული იყო, არ გავცემდით ხელფასებს, არ ვუშვებდით სტუდენტებს გაცვლით პროგრამებზე, არ ვაფინანსებდით სხვადასხვა პროგრამებს... არ ვიცი, ისინი განზრახ იყვნენ შეცდომაში შეყვანილი თუ სხვა მოტივები ამოძრავებდათ. ფაქტია, რომ გადაწყეტილების მიღებისას საბჭოს წევრები არ იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულები, რამაც განუზომლად დიდი ზიანი მოგვაყენა. თუმცა, მოკლევადიან პერსპექტივაში ფინანსურად უნივერსიტეტს არაფერი ემუქრება, მაგრამ თუ ეს გაგრძელდება 1-2 წელი, რა თქმა უნდა, ლიკვიდაციისკენ წავალთ.

ამერიკელი ექსპერტები დაინტერესდნენ ამ საქმით და ჩამოვიდნენ საქართველოში. ვფიქრობ, ეს წინაპირობაა იმისა, რომ სამართლიანობა, ადრე თუ გვიან, აღდგება. ექსპერტებს შეხვედრა ჰქონდათ განათლების სფეროს წარმომადგენლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებთან, პარლამენტარებთან... იმედი გვაქვს, ისინი მიიღებენ სრულ ინფორმაციას მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით და მათი დასკვნა შედეგიანი იქნება“.

დიანა მჭედლიშვილი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი: „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სააპელაციო საბჭოში შევიტანეთ საჩივარი, სადაც სამ რამეზე ვაკეთებთ აქცენტს – პირველი არის ის, რომ ავტორიზაციის საბჭომ 20 აგვისტოს მიიღო გადაწყვეტილება – ერთი წლით შეგვიზღუდა პირველკურსელების მიღება, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს უნივერსიტეტს და შეაფერხებს მის შემდგომ განვითარებას.

მეორე – აქცენტი კეთდება თავად პროცედურის დარღვევაზე. მოგეხსენებათ, ავტორიზაციის საბჭო საჯარო განხილვას მოიაზრებს თავის ფორმატში. როდესაც გადაწყვეტილება მიიღეს, ანუ უარყოფითი კუთხით წარიმართა მსჯელობა უნივერსიტეტის შესახებ, არც ჩვენ და არც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს არ მიგვიღია მონაწილეობა, რითაც შეგვეზღუდა ჩვენი პოზიციის გამოხატვის საშუალება. გამოცხადდა ერთსაათიანი შესვენება და სწორედ ამ ერთი საათის განმავლობაში, დახურულ კარს მიღმა იმსჯელეს. ავტორიზაციის დასკვნაშიც კი წერია, რომ ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ მივიღეთ ეს გადაწყვეტილებაო.

მესამე – ჩვენ ავტორიზაციით წარდგენილი გვქონდა 3500 ადგილზე მოთხოვნა, დადასტურებული გარკვეული ფორმულით, რაც ითვალისწინებდა სხვადასხვა კრიტერიუმებს (ადამიანური და მატერიალური რესურსები, პროგრამების რაოდენობა, ჩარიცხვების დინამიკა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და სხვ). ფორმულა რომ მისაღები იყო, ავტორიზაციის ერთ-ერთმა ექსპერტმა – მურთაზ კვირკვაიამ საბჭოს სხდომაზე განაცხადა – ფორმულა ლოგიკურია, უბრალოდ, რაც შეიძლება მეტ ადმინისტრაციულ პერსონალს გააცანითო – ეს იყო რეკომენდაცია. გარდა ამისა დავასაბუთეთ, რომ ამ ადგილების უზრუნველყოფა მარტო მატერიალურად და ადამიანური რესურსით კი არ შეგვეძლო, არამედ გვჭირდებოდა კიდეც, კერძოდ, ვისაუბრეთ იმაზე, რომ მაგისტრატურის, ბაკალავრიატის, მობილობის გამოცხადებაზე, რაც სტუდენტთა უფლებების ხელშემწყობია, ადგილების ეს რაოდენობა ნამდვილად გვჭირდებოდა. ამაზე მათ საწინააღმდეგო მოსაზრება არ გამოუთქვამთ. თუმცა დასკვნაში წერია, რომ ავტორიზაციის საბჭომ კენჭისყრაზე 2500 ადგილი დააყენა, რაც აქამდე გვქონდა. საქმე იმაშია, რომ ეს საკითხი კენჭისყრაზე საერთოდ არ დამდგარა. ამის დასტურად არსებობს სხდომის ვიდეოჩანაწერი.

რაც შეეხება დაკისრებულ თანხას, აბსოლუტურად უსამართლოა, ეს არ არის აღიარებული ვალი. რაიმე ტიპის სერიოზული გადაცდომა არ გვქონია და ქვეყნის ბიუჯეტი არ დაზარალებულა. რა გადასახადიც გვქონდა, გადახდილია. რეალურად, ჩვენ გვედავებიან ერთხელ გადახდილ თანხას. ჯერ გადამხდელად უნდა დარეგისტრირებულიყო უნივერსიტეტი და მერე გადაეხადა გადასახადი. მოხდა პროცედურული დარღვევა – ჯერ განხორციელდა გადახდა და მერე მოხდა დარეგისტრირება. თანხა უკან კი არ დაბრუნდა, უბრალოდ არ ჩაითვალა, ეს თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში დარჩა. საინტერესო ის იყო, რომ ქალბატონი თამარ სანიკიძე ამბობდა, ქვეყანას გადასახადებს უმალავენო, ამ დროს ეს ასე არ იყო. ჯერ სასამართლო პროცესი დასრულებული არ არის და დავა ამ ეტაპზეც გრძელდება.

ჩვენი უნივერსიტეტი ხარისხსა და განვითარებაზეა ორიენტირებული. ეს ერთხმად აღიარეს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა და მისმა თავმჯდომარემ, ენდი გიბსმა. *„50-ამდე უნივერსიტეტი მაქვს შემოწმებული და იშვიათად თუ მინახავს უნივერსიტეტი, რომელსაც ასეთი ბედნიერი სტუდენტები და თანამშრომლები ჰყავს“* – განაცხადა ცენტრის მიერ მოწვეულმა უცხოელმა ექსპერტმა“.

მოამზადა მაკა ყიფიანმა

საერთაშორისო კონფერენცია

მრავალმხრივი კომპეტენციებითა და უნარებით აღჭურვილი სასწავლო ლიდერი

ლალი ჯელაძე

„ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს“ მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის ფარგლებში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა საჯარო სკოლის დირექტორების სკოლის მართვისა და ლიდერობის მეორე საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა. წლევანდელ კონფერენციაზე, რომლის მიზანი სკოლის მართვისა და ლიდერობის საკითხებზე საქართველოში დაგროვილი, ასევე საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილების გაზიარება იყო, 200-ზე მეტი საჯარო სკოლის დირექტორმა და 50-ზე მეტმა განათლების სპეციალისტმა, საჯარო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

სასწავლო პროცესსა და განათლების სფეროში არსებულ უმნიშვნელოვანეს გამოწვევებზე კონფერენციაზე შეკრებილმა აუდიტორიამ ორი დღის განმავლობაში იმსჯელა.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა, **მაგდა მაღრაძემ**, კონფერენციის გახსნისას, განაცხადა, რომ ფონდი ხელს უწყობს საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმებსა და ისეთი პროგრამების დანერგვას, რომლებიც შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის აუცილებელი წინაპირობაა: *„მსგავსი კონფერენციები დირექტორებისა და სკოლის ბაზაზე მოქმედი ფასილიტატორების პროფესიული განვითარების შესაძლებლობას იძლევა, იმისთვის, რომ წარმატებით და ეფექტიანად მოხდეს ჩვენი საჯარო სკოლების მართვა და 21-ე საუკუნის მოთხოვნების შესაბამისი, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვა.*

თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბება, გუნდური მუშაობა, დირექტორის, როგორც საგანმანათლებლო ლიდერის როლი, ტექნოლოგიების გამოყენება სკოლის მართვასა და სწავლა-სწავლების პროცესში – ეს ის ძირითადი თემებია, რომელიც „ლიდერობის აკადემიის“ ფარგლებში ყველა საჯარო სკოლის დირექტორმა გაიარა.

იმედი გვაქვს, დირექტორები აქტიურად გააგრძელებენ თანამშრომლობას, სკოლებში სიახლეების შეტანას და ხელს შეუწყობენ თანამედროვე სწავლების მეთოდოლოგიის და ინოვაციური მიდგომების დანერგვას, რაც, თავისთავად, სასიკეთოდ აისახება მოსწავლეების აკადემიურ მიღწევებსა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაზე. მოხარული ვარ, რომ ათასწლეულის გამოწვევის ფონდის საქმიანობით წვლილი შეგვაქვს ამ მნიშვნელოვან საქმეში“.

რეალურად რა მისცა პროექტმა დირექტორებს, ამის შესახებ, ჩვენთან საუბრისას, პროექტის მენეჯერმა, **ნატალია ედიშერაშვილმა** განაცხადა, რომ ფართომასშტაბიანმა პროექტმა შექმნა ზოგადი ფონი, როგორი გვინდა, იყოს სკოლის დირექტორი-ლიდერი, რაც ყველა აქტივობაში იყო ხაზგასმული: *„ჩვენ გვჭირდება სასწავლო ლიდერი, რომელიც იქნება მრავალმხრივი კომპეტენციებითა და უნარებით აღჭურვილი და, რაც მთავარია, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი.“ მიზნის მიღწევას კი ძალიან საინტერესო და აქტივობებით დატვირთული სამი წელი უძღოდა წინ. ამ პერიოდში დირექტორებმა „ლიდერობის აკადემიის“ სამი საფეხურის ტრენინგები გაიარეს, რომელიც მიზნად ისახავდა დირექტორების გარდაქმნას მენეჯერიდან სასწავლო ლიდერად. სწორედ აქედან გამომდინარე, ტრენინგ-მოდულების თემები მოიცავდა როგორც პედაგოგიურ საკითხებს (ჩვენი სურვილია, დირექტორმა შეძლოს საკლასო ოთახში სწავლა-სწავლების ხარისხის სწორად შეფასება), ისე უშუალოდ მისი პრაქტიკული უნარების განვითარებას. მაგალითად, ფინანსების მართვას და ა.შ. ამდენად, ტრენინგ-მოდულები მრავალმხრივ მიმართულებებს მოიცავს,* – ამბობს ქალბატონი ნატალია, – *ტრენინგების გარდა, დირექტორები მონაწილეობას იღებდნენ კვარტალურ შეხვედრებში, სადაც ტრენინგზე მიღებული ცოდნის გადამოწმებას ახდენდნენ. თუმცა, პროექტის დეტალური მონიტორინგის შედეგები, რა გავლენა იქონია განხორციელებულმა აქტივობებმა, რომელსაც სპეციალურად დაქირავებული ერთ-ერთი ამერიკული ორგანიზაცია სწავლობს, უფრო მოგვიანებით გახდება ცნობილი. პროექტის მასშტაბიდან გამომდინარე (პროექტი გულისხმობს ყველა საჯარო სკოლის დირექტორის გადამზადებას), არარეალურია, თითოეულს მიჰყვე და გადაამოწმო, როგორ ნერგავს პრაქტიკაში ტრენინგზე მიღებულ ცოდნას.*

იმედი გვაქვს, პროექტის დასრულების შემდეგ (2019 წლის ივნისის ბოლოს), იმ რესურსის, რაც პროექტის ფარგლებში შეიქმნა და გამოცდილებას, რომელიც ტრენერებს, ტრენინგ-მოდულების ავტორებს, დირექტორებსა და პედაგოგებს დაუგროვდათ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი სისტემის კიდევ უფრო განვითარებას მოახმარს.

რაც შეეხება კონფერენციას, ეს ერთგვარი შემაჯამებელი ეტაპია იმ აქტივობების, რაც ამ ფართომასშტაბიანი პროექტის ფარგლებში განხორციელდა. ქართულენოვანი დირექტორების ტრენინგები დასრულებულია, ამჟამად კი, არაქართულენოვანი დერექტორების გადამზადება მიმდინარეობს. ორდღიანი კონფერენცია საუკეთესო საშუალებაა გამოცდილების გასაზიარებლად. ამის გარდა, ჩვენ მოწვეული გვყავს უცხოელი ექსპერტები – გერმანიიდან, ჰოლანდიიდან, სამხრეთ აფრიკიდან. ისინი ქართველ კოლეგებს იმ საუკეთესო გამოცდილებას უზიარებენ, რომელიც მათ ქვეყნებში დირექტორთა პროფესიული განვითარების მიმართულებით ხორციელდება.

„სკოლის მართვის და ლიდერობის საერთაშორისო კონფერენცია“ ბოლო კონფერენციაა პროექტის ფარგლებში, თუმცა იმედი მაქვს, ეს იქნება ახალი ეტაპის დასაწყისი, როდესაც უკვე სკოლის ლიდერები, ასევე სხვა აკადემიური დაწესებულებების, ასოციაციების წარმომადგენლები, თავად გამოიჩენენ ინიციატივას, ნაახალისონ სკოლათაშორისი თანამშრომლობა, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და პროფესიულ განვითარებაზე უწყვეტი ზრუნვა.“

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, **ირინა აბულაძემ** კონფერენციის მონაწილე დირექტორებს შეახსენა, რომ მათ უმნიშვნელოვანესი როლი აკისრიათ სისტემის განვითარებაში.

„ძალიან მოხარულები ვართ, რომ „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისა“ და „ათასწლეულის გამოწვევის ფონდ საქართველოს“ მხარდაჭერით, წვლილი შევიტანეთ თქვენს განვითარებაში – საშუალება მოგეცათ უფრო მეტი კარგი საქმის კეთება შეძლოთ სკოლის დონეზე.

ეს არ არის პროექტი, რომელიც თავისთვის მიმდინარეობს, არამედ ეს არის სახელმწიფო პროექტი, რომელიც აქ განვითარდა და მის მხარდასაჭერად დაინერგა. რაც 2016 წლიდან დღემდე გავაკეთეთ, ამის შედეგები წინ არის, რადგან ვფიქრობ, ახლა ჩვენ ჯერ კიდევ საწყის ფაზაში ვართ. მიუხედავად იმისა, რომ დირექტორების პროფესიული განვითარების მთავარი ნაწილი – „ლიდერობის აკადემია“ – დასრულებულია.

ჩვენ ყველამ, განსაკუთრებით კი განათლების პოლიტიკასა და მართვაში ჩართულმა ადამიანებმა, უნდა ვიზრუნოთ სკოლებში მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტერესების გამოვლენასა და განვითარებაზე. დარწმუნებული ვარ, ყოველდღიური შეხება გაქვთ თქვენს სკოლებში მოსწავლეების მხრიდან სხვადასხვა მიმართულებით გამოვლენილ ნიჭიერებასთან, ამიტომ თქვენი თითოეული მესიჯი, ბავშვების მიმართ, მათ მომავალს განსაზღვრავს. თქვენზეა დამოკიდებული როგორ განვითარდებიან ისინი მომავალში და რა წარმატებებს მიაღწევენ. ამიტომაც, თქვენ მიერ წარმოთქმულ თუნდაც ერთ უმნიშვნელო ფრაზასაც კი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მაქსიმალურად ეცადეთ, სკოლაში შექმნათ ისეთი გარემო, სადაც არ ებრძვიან განსხვავებულობას, არ ხდება იდეების დისკრედიტაცია, წახალისებულია ინოვაცია და შეკითხვის დასმა, სადაც არ არსებობს მოცემულობა – კარგი ან ცუდი. ეს ყველაფერი განსაზღვრავს იმ წარმატებას, რომელსაც გვინდა, რომ ახალგაზრდებმა მიაღწიონ. ვფიქრობ, ჩვენ ყველანი ვმონაწილეობთ იმ არასასურველ ფაქტებში, რომელიც სამწუხაროდ ხდება – იქნება ეს მოსწავლეებში სუიციდის მცდელობა თუ დაგროვილი აგრესიის თანატოლებზე ან მათზე სუსტებზე მიმართვა. იქ, სადაც დირექტორი ხისტია და არასასურველი ფორმით მართავს სკოლას, აგრესიას მასწავლებლებში აგროვებს, მათ კი მოსწავლეებზე გადააქვთ, მოსწავლეებს – ერთმანეთზე (უფრო სუსტებზე). თავისთავად, ეს არ არის ერთადერთი ფაქტორი და ნუ გამიგებთ ისე, თითქოს სკოლებში ბულინგისა და ძალადობის ყველა შემთხვევის მიზეზი ეს არის, მაგრამ დირექტორი ერთ-ერთი მთავარი ღერძი ნამდვილად არის. აქვე გეტყვით იმასაც, რომ ეს პროცესი უფრო ზემოდანაც შეიძლება დაიწყოს – რესურსცენტრი, სამინისტრო – ეს მთელი ვერტიკალია, რომელიც იმ განწყობას განსაზღვრავს, რომელიც საბოლოოდ მოსწავლეებში გროვდება. ამიტომ, ყველამ ერთად ვიფიქროთ იმ სისტემის დახვეწაზე, რომელსაც სკოლის მართვა ჰქვია“.

რეალურად რა მისცა სამწლიანმა აქტივობებმა და „ლიდერობის აკადემიამ“ დირექტორებს? ამის შესახებ ქუთაისის მე-14 საჯარო სკოლის დირექტორმა, **ნონა ჩუბინიძემ** გვითხრა, რომ: *„ეს ერთადერთი პროექტია, რომელმაც საკლასო ოთახის კარი გააღო და მასწავლებელთან შევიდა, დირექტორები და მასწავლებლები ერთი და იმავე ენაზე აალაპარაკა და ერთი და იგივე პრიორიტეტები დაუსახა მიზნად. დანარჩენი უკვე, მხოლოდ ტექნიკური პროცესია, თუ როგორ ავამუშავებთ თანამედროვე მეთოდოლიგიითა და ტექნოლოგიით სწავლებას სკოლებში, რაც ასე მიღებულია თანამედროვე მსოფლიოში და ასე მოსწონთ მოსწავლეებს. ჩემი აზრით, ამ პროექტის ყველაზე დიდი მონაპოვარი, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებასთან ერთად, სწორედ ეს არის.“*

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ქვედა საზანოს სკოლის დირექტორისთვის, **ნანა გიორგობიანისთვის** კი, რომელმაც ლიდერობის აკადემიის სამივე საფეხურის გავლასთან ერთად, ტრენინგები გაიარა, როგორც ფიზიკის პედაგოგმა, პროექტი საუკეთესო პროცესი აღმოჩნდა, რომელმაც პროფესიულ ზრდასთან ერთად, თვითრწმენაც შემატა: *„ახლა გაცილებით მეტად ვარ მზად იმისთვის, რომ ვმართო სკოლა და ვიყო წარმატებული მასწავლებელი. იგივე მოხდა ჩემი სკოლის პედაგოგებშიც, მათ მეტად განუმტკიცდათ ნდობა როგორც ჩემ მიმართ, ისე საკუთარი თავისადმი. მათი სახით შეიკრა გუნდი, რომელიც დანარჩენ პედაგოგებს ეხმარება, განსაკუთრებით ფასილიტატორები, რომლებიც თანამოაზრეებთან ერთად, მართლაც დიდ პროფესიულ დახმარებას უწევენ მასწავლებლებს. რეალურად, პროექტმა ძალიან კარგი თანამშრომლობითი გარემო ჩამოაყალიბა“.* – ამბობს ის.

კონფერენციაზე მოწვეულ მომხსენებლებს შორის იყვნენ ლუდვიგსბურგის (გერმანია) საშუალო სკოლის დირექტორი **ჰარტმუტ მეიერი**, რომელიც, ასევე, კონსულტანტად მუშაობს ბადენ-ვურტენბერგის სკოლაში, ხოლო შტუტგარდის სკოლის განვითარების ინსტიტუტში – პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ექსპერტია. ჰარტმუტ მეიერი, 2017 წლიდან, ჩართულია Naec-ის პროექტში „სკოლის თვითშეფასება განვითარებისთვის“, როგორც ხარისხის განვითარებისა და შეფასების ექსპერტი, კონსულტაციას უწევს ჩვენი ქვეყნის საჯარო სკოლებს ხარისხის მართვის, შეფასებისა და სკოლის განვითარების საკითხებში. მისი პრეზენტაციაც სწორედ ამ თემას ეხებოდა და პასუხს სცემდა კითხვებს – რას ნიშნავს ხარისხი, რა არის მისი უზრუნველყოფის მიზნები და როგორ უნდა განხორციელდეს სკოლაში ხარისხის მართვა. ექსპერტმა ხაზი გაუსვა შიდა და გარე შეფასებების ინსტრუმენტებს და მათი გამოყენების ხერხებს სკოლის თვითშეფასების ციკლში.

სტელენბოშის უნივერსიტეტის წამყვანმა მკვლევარმა, დოქტორმა სამხრეთ აფრიკიდან, **ნიკ სპაულმა** პრეზენტაციაში ყურადღება გაამახვილა საერთაშორისო კვლევების მონაცემების გამოყენებაზე სკოლის მართვისა და პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. მიმოიხილა, თუ როგორ უნდა გამოიყენონ საერთაშორისო კვლევების მონაცემები სკოლის მენეჯმენტმა და სხვადასხვა საგანმანათლებლო ერთეულებმა გადაწყვეტილების მიღებისას, კერძოდ, რესურსების გამოყენებისა და სწავლების სტრატეგიების მიმართულებით.

ნიდერლანდების საშუალო სკოლის დირექტორის, **იოკე ჰენგეფელდ-ვან კონინსბრუგერის** საპრეზენტაციო თემა საშუალო სკოლის ბაზაზე პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვას შეეხო. მან ნიდერლანდების საშუალო სკოლის მაგალითზე ისაუბრა და განმარტა, თუ რა მნიშვნელობა აქვს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვას მოსწავლეთა მომავალ წარმატებაზე. ნიდერლანდების სამეფოში სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა სწორედ სკოლის თვითშეფასების მოდელს ეყრდნობა.

კონფერენციამ დირექტორებს „იდეების მოედანი“ შესთავაზა და სკოლის მართვასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე საუბრის საშუალება მისცა. დირექტორებმა საინტერესო პრეზენტაციები წარმოადგინეს თემებზე: ინკლუზიური განათლება და თანასწორობა, არაფორმალური განათლება, ძალადობა სკოლაში – მისი პრევენცია და რეაგირების გზები, სკოლის თვითშეფასების მექანიზმები და სხვ. კონფერენციის მრავალფეროვანი პროგრამა მასტერკლასებსაც დაეთმო და პროფესიონალებმა დირექტორებს აქტუალური თემები შესთავაზეს – **ელდარ პირმისაშვილი** (საზოგადოებასთან ურთიერთობის ექსპერტი) – „იმიჯის მნიშვნელობა სკოლის წარმატებისთვის“; **მაია ხოსიტაშვილი** (ტრენერი, კონსულტანტი, ფსიქოლოგი) – „გუნდური მუშაობის როლი სასკოლო ცხოვრებაში“; **პაატა ამონაშვილი** (ფსიქოლოგი, სოციოლოგი და მწერალი) – „სკოლა და ღირებულებები ჰუმანური პედაგოგიკის პერსპექტივაში“.

კონფერენციამ განათლების სპეციალისტებს შესაძლებლობა მისცა განათლების მართვის სფეროში არსებული ტენდენციები, მიღწევები და გამოწვევები საჯაროდ გამოეტანათ.

მწვავე თემა

როგორ დავაღწიოთ თავი „მკვლელ ტყვიას“

ლალი ჯელაძე

დაბინძურებული ჰაერი და გარემო საქართველოს მოსახლეობისთვის ახალი არ არის, რადგან ის ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიძლება არა თუ შეიგრძნოს, არამედ „დაინახოს“ დედაქალაქის მაცხოვრებელმა. ამის შესახებ არაერთხელ დაიწერა და ითქვა, არაერთი კვლევა თუ ექსპერიმენტი განხორციელდა, თითქოს, რეგულაციებიც დაწესდა, მაგალითად, გამონაბოლქვის შესამცირებლად მანქანის ტექდათვალიერება თუ სხვ. მაგრამ მომწამვლელი ჰაერით სუნთქვა ისევ იმ დოზით და ისევ იმ მასშტაბით გვიწევს, რადგან რეალურად პრევენციისთვის სახელმწიფოს მხრიდან, ჯერჯერობით, ქმედითი ღონისძიება არ განხორციელებულა. ამასობაში კი, ვინ იცის ამ მავნე ზეგავლენის შედეგად რამდენ ადამიანს სჭირდება შველა. მეტიც, ბოლო დროს, დაბინძურებულ გარემოსა და მისი მავნე ზემოქმედებით გამოწვეულ ჯანმრთელობის საფრთხეების ჩამონათვალს კიდევ ერთი საგანგაშო დეტალიც შეემატა – საქართველოში, საკუთარ ორგანიზმში, არაერთმა ადამიანმა ტყვიის გადაჭარბებული რაოდენობა აღმოაჩინა. ამ თემაზე საზოგადოების ყურადღება უკანასკნელ კვირას არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოხედვის“ კვლევამ მიიქცია, რომელმაც ტყვიის კვალს თბილისის ჰაერის მტვერში დაუწყო ძებნა. კვლევა არასამთავრობო ორგანიზაციამ საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საკომიტეტო მოკვლევის ფარგლებში ჩაატარა და პირველად გაზომა ტყვია და კადმიუმი მტვრის ნაწილაკებში. მცირე მასშტაბის კვლევა ივნის-ივლისში განხორციელდა და მის არეალში თბილისის რამდენიმე უბანი მოექცა – ლისის ტბა, გმირთა მოედანი, ვაკის პარკი და ორი მშენებლობა დიღმის მასივსა და დიდ დიღომში.

ატმოსფერული ჰაერის ნიმუშების შესწავლის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ დედაქალაქში ტყვია დასაშვები კონცენტრაციის (0.3 მკგ/მ^3) მეათედია (მინიმუმ 0.01 მკგ/მ^3 და მაქსიმუმ 0.06მკგ/მ^3). ვინაიდან ტყვია ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ ძნელად გამოდის, ის დაგროვებას იწყებს და ყოველი შესუნთქვის დროს დამატებითი რაოდენობა კონცენტრირდება, ეს მაჩვენებელიც კი უკვე დამაფიქრებელია.

მანანა ქოჩლაძე („მწვანე ალტერნატივა“) ჰაერში ტყვიის მონიტორინგის შესახებ ამბობს, კვლევის შედეგებით გამოვლინდა, რომ ტყვიის შემცველობა ჰაერში არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას (ZDC). ის პრობლემას იმაში ხედავს, რომ მონიტორინგის ანგარიში, რომელსაც სამინისტრო პერიოდულად წარმოადგენს, სინამდვილეში არანაირ ინფორმაციას არ იძლევა, რეალურად რამდენადაა ჰაერი დაბინძურებული საქართველოში: *„კვლევაში ნახავდით, რომ ენოქსები მაღალი აღმოჩნდა, სინამდვილეში კი რა დონის დაბინძურებაა ენოქსებთან მიმართებაში, ამის შესახებ ძალიან რთულია აზრის გამოტანა, რადგან კვლევაში ასახულია ერთი დღის ან ერთი თვის მონაცემები და, რაც მთავარია, თვიური ანგარიშების შედარება არასდროს ხდება ევროკავშირის სტანდარტებთან.“*

თბილისის ჰაერში ტყვიის შემცველობას, ცალკეულ უბნებში, 2008 წლიდან ზომავს გარემოს ეროვნული სააგენტო, თუმცა, მისივე ინფორმაციით, საგანგაშო მაჩვენებელი ჯერ არ დაფიქსირებულა. და მაინც, რა არის ჰაერში ტყვიის შემცველობის დასაშვები კონცენტრაციის ზღვარი? ამ კითხვაზეც არაერთგვაროვანი პასუხი არსებობს, რადგან ზღვრული მაჩვენებლები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვითაც. მაგალითად, აშშ-ში ის 0,15-ით განისაზღვრება, საქართველოში კი დღე-ღამეში ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია 0,3-ია. კვლევაში თბილისის მაჩვენებელი 0.01-0,06-იყო, რაც სხვა ქვეყნის სტანდარტებთან შედარებით, შეიძლება, მაღალ მაჩვენებლად ჩაითვალოს. გარდა ამისა, ექსპერტები ყურადღებას იმაზეც ამახვილებენ, რომ „ეკოხედვის“ კვლევა ზაფხულში ჩატარდა, იმ პერიოდში, როცა ავტომობილების რაოდენობა ქალაქში შემცირებულია, წელიწადის სხვა დროსთან შედარებით. ამიტომაც, ამ საკითხზე მომუშავე ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თბილისის ჰაერი უფრო მასშტაბურ, რამდენიმეწლიან შესწავლას საჭიროებს.

რა გამოსავალს ხედავენ ექსპერტები? **ნუგზარ ბუაჩიძე**, რომელიც „ეკოხედვის“ კვლევაზე მუშაობდა, მიიჩნევს, რომ ჰაერის დაბინძურების აღმოსაფხვრელად შედეგს გამოიღებს ავტოტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერების შემოღება და ავტომობილების მოძრაობის მოწესრიგება ქალაქში. კვლევის ავტორების რეკომენდაციაა, ასევე, სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შემუშავება და ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილის ინტენსიური გამწვანება ივრის ზეგნიდან წამოსული მტვრიანი ქარების პრევენციის მიზნით, რადგან, როგორც აღმოჩნდა, ჰაერი ტყვიით ყველაზე მეტად სწორედ მშენებლობების ირგვლივაა დაბინძურებული, ლისის ტბასა და ვაკის პარკში კი რეკრეაციული ზონისთვის შესაფერისი ჰაერი დაფიქსირდა.

რაც შეეხება გმირთა მოედანს, აქ სამუშაო დღეებში, როცა ესტაკადაზე ავტომობილების რაოდენობა მეტი იყო, მაქსიმალურ დონეს უახლოვდებოდა ტყვიის შემცველობა და ზღვარს სცდებოდა აზოტის დიოქსიდი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ცნობით, აზოტის დიოქსიდიც საკმაოდ ტოქსიკური აირია, რომელიც ასუსტებს ფილტვების ფუნქციონირებას და განსაკუთრებით საზიანოა ასთმით დაავადებული ბავშვებისთვის. ამ მავნე აირის დონეს თბილისში გარემოს ეროვნული სააგენტოც ხშირად ამოწმებს.

სწორედ ამ რეალობიდან გამომდინარე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ანგარიშში, ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებლით, საქართველო 70-ე ადგილზეა. ჯერ კიდევ უმწვავეს პრობლემად რჩება განსაკუთრებით საშიში კანცეროგენი – ტყვია, რომელიც ბავშვებს წამლავს. თუმცა, მის შემცველობაზე ბავშვების ორგანიზმში ვრცელი კვლევა საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა. საქართველოს ნეონატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი **ია დავითაია** ამბობს, როდესაც ორგანიზმში ტყვიის შემცველობა ნორმას სცილდება, ძალიან უარყოფით ზეგავლენას ახდენს მთელ ორგანიზმზე. *„ეს მყღავნდება იმით, რომ ბავშვი შედარებით ნაკლებად მატულობს წონაში, არის არადინამიური, ახასიათებს ზოგადი სისუსტე. პირველ რიგში, უნდა ვიფიქროთ რა გარემოში ვცხოვრობთ, რა არის ჩვენ ირგვლივ, არის თუ არა მწვანე საფარველი, არის თუ არა ზოგადად, ტრანსპორტის, მანქანების დიდი მოძრაობა. უნდა ვეცადოთ, რომ ასეთ შემთხვევაში, ბავშვი ხშირად გავიყვანოთ იქ, სადაც მწვანე საფარველია, ვასეირნოთ ბაღებში, სკვერებში და ა.შ. მშობლებს მინდა ვურჩიო, რომ განსაკუთრებული ყურადღება, ასევე, სათამაშოების ხარისხს მიაქციონ, დიდი დაკვირვებით შეარჩიონ რას ყიდულობენ – გაიგონ რა წარმოებისაა, არის თუ არა ლიცენზირებული, აქვს თუ არა სერტიფიკატი. ასევე, არ შეიძინონ პროდუქტი – ხილი, ბოსტნეული და ა.შ., რომელიც ტრანსპორტის სავალ ნაწილთან ახლომდებარე ქუჩებში იყიდება, რადგან ასეთ პირობებში პროდუქტი ადვილად იღებს მავნე მიკროელემენტებს, რომელსაც შემდეგ უხვად იღებს ბავშვი.“* – ამბობს ნეონატოლოგი.

„ტყვიით დაბინძურებული გარემო საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვანი პრობლემაა, მაგრამ ტყვიის ნეიროტოქსიკური ზემოქმედება განსაკუთრებით ძლიერია ბავშვებში“ – აცხადებს ემორის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ექიმი ტოქსიკოლოგი **ზიად კაზი**. ზაფხულში, ტოქსიკოლოგიის ექსპერტმა ემორის უნივერსიტეტიდან, საქართველოში სემინარი ჩაატარა, მიზანი იყო ქართველი სპეციალისტების მომზადება პროექტისთვის, რომელიც საქართველოში 1500 ბავშვის სისხლში ტყვიის შემცველობის გამოკვლევას ითვალისწინებს. მსგავსი კვლევა, რომელიც ტყვიით მოწამვლის მასშტაბებსა და სიმძიმეს ადგენს, საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა.

ექსპერტის აზრით, *„არ არსებობს სისხლში ტყვიის შემცველობის უსაფრთხო დონე. რა თქმა უნდა, რაც უფრო მაღალია შემცველობა, მით მეტია ზიანი. თუმცა, სისხლში ნებისმიერი რაოდენობით ტყვიის შემცველობას აქვს თავისი შედეგი.“*

ზიად კაზიმ ქართველ სპეციალისტებს განუმარტა, როგორ შეიძლება ტყვიით დაბინძურებული გარემოს ზემოქმედების შემცირება. პირველ რიგში, უნდა გაირკვეს, რა არის ტყვიით დაბინძურების წყაროები. ის ამბობს, რომ *„ბავშვის ორგანიზმში ტყვია, ძირითადად, პირიდან აღწევს, ეს შეიძლება იყოს ტყვიის მტვერი ან საღებავის ნარჩენები. კედლის ძველი საღებავი, დიდი ალბათობით შეიძლება შეიცავდეს ტყვიას. დაბინძურების წყარო ასევე შეიძლება იყოს წყალი, რომელიც ძველი მილით შემოდის სახლში – ტყვიისგან დამზადებული მილიდან ნივთიერება შესაძლოა ჟონავდეს წყალში. ასევე, ნიადაგიდან თუ დაბინძურებულია. ზემოქმედება შეიძლება მოხდეს სათამაშოებიდან, რომელიც შეიცავს ტყვიის პიგმენტს ან ნაწილაკებს.*

არის რამდენიმე გზა, რითაც მშობლებს ტყვიით დაბინძურებული გარემოს ზემოქმედების შემცირება შეუძლიათ. თუ სახლში გაქვთ ძველი, აქერცლილი საღებავი, მიიჩნიეთ ის ტყვიის დაბინძურების პოტენციურ წყაროდ. ასევე ყურადღება მიაქციეთ, რომ ბავშვებმა ხელები ხშირად დაიბანონ. ამ შემთხვევაში, მკურნალობის ერთადერთი გზა პრევენციაა. არ არსებობს მედიკამენტი, რომელსაც დიდი ცვლილებების გამოწვევა შეუძლია. როგორც კი დავადგენთ, რა არის ტყვიით დაბინძურების მთავარი წყაროები საქართველოში, შეგვეძლება ამ ინფორმაციის გაზიარება ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალებისთვის და საზოგადოებაში ამ თემაზე ცნობიერების ამაღლება.“

ფართომასშტაბიანი მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა საქართველოში სამი თვის განმავლობაში გაგრძელდება, რომლის შედეგად შეგროვდება მაღალი ხარისხის და საერთაშორისო დონეზე შედარებადი მონაცემები ოჯახების, ბავშვების და ქალების მდგომარეობის შესახებ, ქვეყნის მასშტაბით. კვლევა ასევე შეამოწმებს წყლის ხარისხს და შეისწავლის ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობას.

კვლევა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, გაეროს ბავშვთა ფონდისა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდება. ფინანსურ მხარდაჭერას, ასევე, უზრუნველყოფენ: შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (SIDA), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD), შვეიცარიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (SDC), გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO), მსოფლიო ბანკი და იტალიის ეროვნული ჯანდაცვის ინსტიტუტი.

კვლევის ფარგლებში, შეგროვდება მონაცემები განათლების, ჯანდაცვის, ბავშვის განვითარებისა და ბავშვზე ზრუნვის, აღზრდის, ადრეული ქორწინების, ენერგიის მოხმარების, გარემოს დაცვის და ინფრასტრუქტურის, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების, დევნილებისა და ეროვნული უმცირესობების მდგომარეობის შესახებ. კვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემები წარმოადგენს ეროვნულ და რეგიონულ დონეზე წარმომადგენლობით მონაცემებს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობას, დაგეგმოს და შეიმუშაოს მონაცემებზე დაფუძნებული პოლიტიკა, რაც გააუმჯობესებს დაუცველი ოჯახებისა და ბავშვების ცხოვრებას და ხელს შეუწყობს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.

კვლევა ჩატარდება 14 000-ზე მეტ შინამეურნეობაში თბილისსა და საქართველოს 10 რეგიონში. მონაცემების შეგროვების საველე სამუშაოები 20 სექტემბერს დაიწყო და 20 დეკემბრამდე გაგრძელდება.

ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობის დასადგენად, 2-7 წლის, დაახლოებით, 1500 ბავშვს, ქვეყნის მასშტაბით, აუღებენ სისხლს ვენიდან, ნიმუშები ევროპის ერთ-ერთ წამყვან ლაბორატორიაში, იტალიაში გაიგზავნება. ოჯახები ინდივიდუალურად მიიღებენ ტყვიის ანალიზის პასუხებს და სისხლში ტყვიის შემცველობის მაღალი დონის დადგენის შემთხვევაში, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი მათ უფასო კონსულტაციას გაუწევს.

წყლის შემოწმება შინამეურნეობებში მოიცავს სასმელი წყლის ნიმუშების აღებას ყოველ მეოთხე ოჯახში, ნაწლავის ჩხირის არსებობაზე შესამოწმებლად. შედეგები გამოავლენს სასმელი წყლის ხარისხს როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ასევე თითოეულ რეგიონში.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის გუნდში, რომელიც ოჯახებს ესტუმრება, იქნებიან: 1-3 ინტერვიუერი, ადამიანი, რომელიც აიღებს წყლის სინჯებს, გაზომავს და აწონის 5 წლამდე ასაკის ბავშვებს და ფლებოტომისტი, რომელიც ბავშვებს ვენიდან აუღებს სისხლს. სისხლის აღებამდე, მშობლებს და ბავშვებს შეეკითხებიან, თანახმა არიან თუ არა სისხლის აღებაზე.

მონაცემების შეგროვების საველე სამუშაოების პარალელურად, დაიწყება მსხვილმასშტაბიანი საკომუნიკაციო და საზოგადოების მობილიზებისკენ მიმართული კამპანია კვლევის, მისი მიზნებისა და პროცედურების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების და აღნიშნულ პროცესში საზოგადოების თანამშრომლობისა და მხარდაჭერის მიზნით.

შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ჩატარებული კვლევის შედეგები შექმნის ზოგად სურათს საქართველოში ბავშვებში ტყვიის შემცველობის შესახებ, რომელიც საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი 2019 წლის გაზაფხულზე გახდება, თუმცა, შედეგებამდე, სასურველია, მშობლებმა ყურად იღონ და გაითვალისწინონ ქართველი თუ უცხოელი ექსპერტების რჩევები და რეკომენდაციები, რადგან პრევენცია ერთ-ერთ რეალურ გზად რჩება „მკვლელი ტყვიისგან“ შვილების დასაცავად, ასევე, იმ მავნე სათამაშოებისგან, რომელიც ქართულ ბაზარზე ასე უხვად და უკონტროლოდ შემოდის. სათამაშოების ხარისხის კონტროლი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთი მოთხოვნაცაა, სახელმწიფო კი ამ დირექტივის შესრულებას 2019 წლის შემოდგომიდან დაიწყებს, შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ, მანამ კი, თავად იზრუნეთ საკუთარი შვილების ჯანმრთელობის დასაცავად.

სახელმძღვანელოები

როცა სატკივარი თავს აღარ მალავს



მასწავლებლები, სპეციალისტები, სასკოლო ცხოვრებაში მეტნაკლებად ჩახედული ადამიანები პირად საუბრებსა და სოციალურ ქსელებში ღიად საუბრობდნენ სასკოლო სახელმძღვანელოების საკონკურსო წესით შერჩევისა და გრიფირების პროცესის მიკერძოებულობასა და სუბიექტურობაზე. მართლაც და, სკოლისა და მთლიანად საზოგადოებისათვის, ეს მეტად მნიშვნელოვანი, ვიტყოდი, გადამწყვეტი საძირკველი და ბალავარი, არაკომპეტენტური ექსპერტების, მათზე უფრო მაღლა მდგომთა უჩინარი ხელით შენიღბულად, გასაიდუმლოებულად, მერკანტილური გარიგებებით რომ იმართებოდა, ეს ცხადად გამოჩნდა ამ ბოლო დროს. გამოჩნდა სოციალურ ქსელებსა და ბეჭდურ მედიაში გამოქვეყნებულ გამოხმაურებებსა და მამხილებელ სტატიებში, უპირველესად ვგულისხმობთ პროფ. ნათელა მაღლაკელიძის სტატიას „ქართული კითხვა ბავშვმა ქართული მწერლობით უნდა ისწავლოს“ (იხ. „ახალი განათლება“, 13-19.09 2018).

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სანაქებოა გაზეთ „ახალი განათლების“ გამბედაობა და პრინციპულობა, გაზეთისა, რომელიც, მეტნაკლებად, ადრეც, როცა განსხვავებული აზრისათვის ადამიანებს კეთროვანებად ნათლავდნენ და დევნიდნენ, ახერხებდა განათლების სფეროში ტაბუდადებული თემების წამოწევას და გასაჯაროებას (ასეთ შერისხულ „ნათლულებში“, რამდენიმე წლის წინათ, ამავე გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის გამო, თქვენი მონა-მორჩილიც მოხვდა).

დღეს კი, ისეთი მწვავე და განათლების სფეროში დამკვიდრებული საყოველთაო სატკივარზე ხმამაღლა საუბარი, როგორც ეს პროფ. ნათელა მაღლაკელიძის სტატიაშია, არ მიკვირს, რადგანაც ყველა ვხედავთ, რომ განათლების ახალმა მინისტრმა, ბატონმა მიხეილ ბატიაშვილმა, როგორ გაბედულად ჩამოჰკრა საგანგაშო ზარებს და კულისებიდან ავანსცენაზე გამოიტანა (რასაკვირველია, ყველაფერი არა) ის ზადი და ნაკლი, რაც სამინისტროს სტრუქტურებსა და დანაყოფებში წლებია დაბუდებულა, განსაკუთრებით კონკურსებისა და გრანტების ობიექტურად გაცემის სფეროში, რამაც მოგვცა რწმენა იმისა, რომ არ არსებობს საიდუმლო, რომელიც არ გაცხადდეს, არც შუბი დაიმალება ხალთაში და რომ, ადრე თუ გვიან, ყველას მოეკითხება. ამის ნათელი მაგალითია ქალბატონ ნ. მაღლაკელიძის ზემოთ დასახელებული მამხილებელი, საქმიანი, პროფესიონალური წერილი.

ვერ გავკადნიერდები, იურიდიულ შეფასებას ვერ მივცემ ზემოთ ნახსენებ სტატიას, ერთს კი ვიტყოდი: ჩვენ რომ მართლაც შემდგარი, სამართლიანი სახელმწიფო ვიყოთ, ქ-ნ ნათელა მაღლაკელიძის სტატიის საფუძველზე, ადვილი შესაძლებელია, შესაბამისმა სტრუქტურებმა მოკვლევა დაიწყონ, რამეთუ ხსენებული სტატიიდანაც აშკარად, ყოველგვარი ქვეტექსტების გარეშე, ჩანს არა მარტო მიკერძოებული, სუბიექტური, არაკომპეტენტური დამოკიდებულება კონკურსისა და კონკურსანტებისადმი, არამედ კორუფციის ნიშნები...

სანამ უშუალოდ კონკრეტულ საკითხებზე გადავიდოდე, თავს ვალდებულად ვთვლი განვაცხადო: პროფ. ნათელა მაღლაკელიძე ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია იმ პედაგოგიურ-სამეცნიერო სეგმენტისა, რომლითაც საქართველო დამსახურებულად მეწინავეობდა მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, და რომელიც, მე ვიტყოდი, მიზნობრივად, მიზანდასახულად გაანადგურა „ახალი დროის საქართველომ“, იმ დონემდე, რომ ქვეყანაში არ დარჩა არც ერთი პედაგოგიური პროფილის უმაღლესი სასწავლებელი, რადგანაც ასეთი სასწავლებლები ხელს არ აძლევდა განათლების სფეროში მოკალათებულ მაფიას, სრულად მოიშალა მეთოდური სამსახურები, ხოლო მათი ადგილი დაიკავა ე.წ. „სატრენინგო ცენტრებმა“, გამოცდილი მეცნიერ-მეთოდისტები და საყოველთაოდ ცნობილი, მართლაც სახალხო მასწავლებლები, რომელთა ნაკლებობასაც არასდროს განვიცდიდით, შეცვალეს, საეჭვო განათლების, ყოველ შემთხვევაში, პედაგოგის პროფესიისაგან შორს მყოფმა, საზღვარგარეთ ნაირფერ სერტიფიკატ მიღებულმა გოგო-ბიჭებმა, რომლებიც უდავოდ განათლებულები არიან, მაგრამ სკოლის დამთავრების შემდეგ არც შეუღიათ სკოლის კარები, ტყემალზე სხედან და ისე ექსპერტობენ განათლების სფეროს. დაუფარავად ვიტყვი: უკვე ათეული წლებია განათლების სფერო, თავსა და ძირში, არასპეციალისტი, არაპროფესიონალი, დილეტანტი და არაკომპეტენტური პიროვნებების, უფრო სწორად, ჯგუფების სამოქმედო ასპარეზად იქცა, რომლებმაც სკოლა, საერთოდ მთელი საგანმანათლებლო სივრცე „გამოშიგნეს“, ყოველგვარი მოტივაციისა და ეროვნული იდეოლოგიის გარეშე დატოვეს მომავალი თაობები, ქუჩური ხასიათი მისცეს საზოგადოებისა და ერის ესთეტიკას (ქართველი ფილოსოფოსისა და მოაზროვნის კ. კაპანელის სიტყვებია), რომლებიც ლანძღავენ და აგინებენ ავტორიტეტებს, ებრძვიან ტრადიციებს, საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებულ ცხოვრების წესს და ა.შ.

ყოველგვარი ფამილარობის გარეშე მინდა განვაცხადო, რომ ქალბატონი ნათელა მაღლაკელიძე ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია ქართული მეთოდიკური მეცნიერების ფუძემდებლის, იაკობ გოგებაშვილის საქმის ღირსეული გამგრძელებლის, სიცოცხლეშივე მეორე გოგებაშვილად შერაცხული, ცნობილი მეცნიერისა და მასწავლებლის, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ვალერიან რამიშვილის სამეცნიერო სკოლისა. ის, ბატონი ვალერიანის სხვა მოწაფეებთან ერთად, წლები თავაუღებლად მუშაობდა ქართული ენის, წერა-კითხვის სწავლების საკითხებზე, უძღვებოდა სკოლის მასწავლებელთა აღზრდა-დაოსტატების საქმეს და ერთ-ერთია იმ ორი თუ სამი მეცნიერებათა დოქტორებიდან, რომლებსაც ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში აქვთ სადოქტორო (ძველი სადოქტორო) დისერტაციები დაცული. დღეს ეს სკოლაც არ არსებობს. ის კი არადა, სამეცნიერო შრომებსა და სილაბუსებში, „ახალი დროის ექსპერტები“ მოძველებულად მიიჩნევენ პედაგოკისა და მეთოდიკის კლასიკოსების (გოგებაშვილის, უზნაძის, თალაკვაძის, რამიშვილის...) დასახელებას (სტატიის შეზღუდული მოცულობა არ მაძლევს საშუალებას, თორემ ამის დამადასტურებელ ფაქტებსაც უხვად მოვიტანდი).

არ მინდა, წამებულ რაინდად შევრაცხო ქალბატონი ნათელა მაღლაკელიძე, მაგრამ უსამართლობა იქნებოდა არ ვთქვათ, რომ ის უკომპრომისო იყო ყველა იმ ნაბიჯისა და გადაწყვეტილებებისადმი, რომელმაც ასე დააზიანა განათლების სფერო. ერთ-ერთი ასეთი იყო, რამდენიმე წლის წინათ მიღებული გადაწყვეტილება – ქართული ენის გრამატიკის, როგორც დამოუკიდებელი საგნის ინტეგრირება (უფრო სწორედ გაუქმება) ტექსტთან. მაშინ ქალბატონი ნათელა გამოდიოდა პრესით და აცხადებდა – ეს ნაბიჯი გამოუსწორებელ შედეგს მოუტანს სკოლასო. ყველაფერი კარგი ისე აგიხდათ, როგორც ეს ახდა: ამ უაზრო გადაწყვეტილებამ თითქმის ნულამდე დასცა მშობლიური ენის სწავლება. მასწავლებლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამ ნაჩქარევი ინტეგრირებით სახეზე გვაქვს: ენის უსისტემო სწავლება, ენობრივი მასალის ხელოვნურად „მიკერება“ ტექსტზე, სწავლებაში ქრონოლოგიური თანმიმდევრობის უგულებელყოფა, მართლწერის აუცილებელი ელემენტალური საკითხების იგნორირება, რამაც, რბილად რომ ვთქვათ, სერიოზულად დააზიანა ახალგაზრდების წერის კულტურა და მეტყველება. ერთი სიტყვით, ჩვენი ბავშვები ცუდად, ძალიან ცუდად წერენ და კითხულობენ (იხ. საერთაშორისო კვლევის შედეგები). ჩვენ კი, ყოველივე ამ უმსგავსობის მაყურებელნი (და თანამონაწილენიც), თავს ფრთიანი გამონათქვამით ვიმშვიდებთ – წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო... დრო, ტაროსის დაწმენდა ყველას და ყველაფერს თავის კუთვნილ ადგილს მიუჩენსო. ეს შეიძლება ასეც მოხდეს, მაგრამ როდის?!...

ახლა, როგორც ძველი ქართველი იტყოდა, პირველსავე სიტყვას მოვიდეთ. როგორც პროფ. ნათელა მაღლაკელიძე თავის სტატიაში აღნიშნავს, **სახელმძღვანელოს ავტორებმა თვით ტერმინ „დედაენის“ არსებობაც კი გარკვეული ეჭვის ქვეშ დააყენეს (ხაზგასმა ნ. მაღლაკელიძისა – ჯ. ა.)**. რას გულისხმობს პატივცემული ავტორი, ახლავე მოგახსენებთ: საქმე იმაშია, რომ, ია-იებით გადაპენტილი, ლამაზი ქართული ასოებით გამოყვანილი სიტყვის – **„დედა ენა“** მაგიერ პატარებს მერხზე დახვდებათ წიგნები – პროზაული, ულაზათო, ყოველგვარ ემოციას მოკლებული სახელწოდებით: **„ქართული“, „მშობლიური ენა“, „ქართული ენა და ლიტერატურა“, „დედაენის კვალზე“, „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“** (ასეთი სათაურით, 1865 წელს, გამოსცა სახელმძღვანელო სრულიად ჭაბუკმა (25 წლის), სასულიერო სასწავლებლის რიგითმა მასწავლებელმა ი. გოგებაშვილმა), მაგრამ გადამუშავებულ სახელმძღვანელოს „დედა ენა“ დაარქვა. ეს წმინდა სახელი, რომელიც დედაბოძის, დედამიწის, დედაქალაქისა და სხვა ამგვარი სიტყვების ანალოგიით არის შედგენილი, დედისა და სამშობლოს სიყვარულს დაუკავშირა დიდმა მაწავლებელმა.

პატივცემულო ექსპერტებო, რეცენზენტებო და ავტორებო, ქართველთა უპირველესი წიგნის სახელწოდების „დედა ენის“ თვალსაწიერიდან გაქრობა, დავიწყება, მიზანმიმართული ქმედება და უდიდესი მკრეხელობაა, რაზეც მომავალი მკაცრად მოგკითხავთ!..

საგანგაშო ისიცაა, რომ ზოგიერთ ავტორ-შემდგენელს კითხვის ა და ი ასო-ბგერებით დაწყებაც არ ეტოშება. ავიწყდებათ, რომ „დედა ენის“ ა და ი ასო-ბგერებით დაწყებით იაკობმა მიაგნო იმ საიდუმლოს, რომელიც „ამას ენასა შინა დამარხულ არს“...როგორც ნოდარ დუმბაძე წერდა, სწორედ ამ საიდუმლოს აზიარა იაკობ გოგებაშვილმა ქართველი ბავშვები, თორემ ა და ი რომ ქართულ ანბანში არსებობდა, ეს ფარნავაზიდან მოყოლებული ყველა ქართველმა იცოდა, ისიც იცოდა, რომ გაზაფხულის ლურჯთვალა ყვავილს ია ერქვა, მაგრამ თუ მათი გვერდიგვერდ დგომა აი-ია ასე მარტივი, ასე კეთილხმოვანი და ღვთიური მოსასმენი შეიქმნებოდა, მხოლოდ გოგებაშვილმა გაიგო, ოქროს გასაღებად დაადგა დედა ენას და უკვდავებასავით უანდერძა იგი ქართველ ბავშვებს.

დიდი იაკობის „დედა ენა“ მარტო წიგნი, ჩვეულებრივი სახელმძღვანელო არ არის, ის უწმინდესი და უნეტარესი სულიერი მოძღვარია, რომელიც ყმაწვილებს ყოველ დღე შეახსენებს, თუ ვისი გორისანი ვართ, საიდან მოვდივართ და სად მივდივართ(!).

მგონია, რომ საკონკურსო სახელმძღვანელოთა ექსპერტები დარწმუნებული იყვნენ, რომ სახელმძღვანელოთა ავტორები მათ „შემოქმედებას“, ნააზრევს საჯაროს არ გახდიდნენ და რაც მოადგათ ენას, თვით ყველაზე მკრეხელური აზრებიც კი, უშურველად გაიმეტეს „დასაბლოკი“ ავტორისათვის. მაგრამ მოხდა პირიქით, ერთ-ერთმა ასეთმა „გასაფუჭებელმა“ ავტორმა, პროფ. ნ. მაღლაკელიძემ, გულწრფელად გაგვაცნო ამ „ყოვლისმცოდნე“ ექსპერტთა ნააზრევი, სადაც, როგორც ხელის გულზე, ისე ჩანს მათი დამოკიდებულება, უფრო სწორად, სიძულვილი ქართული კულტურის, ქართული მწერლობისა და ყოველივე ქართული ყოფისადმი.

ესენი ის ექსპერტები არიან, რომელთაც აღიზიანებთ სახელმძღვანელოებში პატრიოტული ხასიათის ტექსტები (პატრიოტიზმი ხომ დიდი ხანია სალანძღავი სიტყვაა ლიბერალებისათვის), რომლებსაც ოდნავადაც არ ანაღვლებთ, რომ ჩვენმა პატარებმა არათუ ზეპირად იციან, არც კი გაუგონიათ (ეს ჩვენი სახელმძღვანელოების წყალობით) „სამშობლო ხევსურისა“, ეს ფიცმიღებული სიყვარული თავისი მიწისა, რომელიც ისევე შეურყვნელია, როგორც ხევსურეთის მთის გვირგვინები... (ვ. კოტეტიშვილი). ქართულ სკოლაში, უკვე დიდი ხანია, ქართულის მასწავლებელი ბავშვებს არ საყვედურობს (ალბათ, ვერც ბედავს): – რა ვუთხრა ისეთ ქართველს, რომელმაც არ იცის „სამშობლო ხევსურისა“, ვინც ძილშიაც არ იმეორებს უკვდავ სტრიქონებს: „არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა“.

ქალბატონ ნათელა მაღლაკელიძის სტატიაში მოყვანილ, ექსპერტთა შენიშვნების გამოწვლილვით ანალიზს ალბათ გაზეთის ერთი ნომერიც ვერ ეყოფა, მაგრამ ზოგიერთი კურიოზული შენიშვნის „გასამყარებლად“ (ნახევრად ხუმრობით) პატივცემულ ექსპერტებს დახმარებას ვთავაზობ: მაგალითად, ექსპერტებს არ მოსწონთ ფრაზა „ცუდი ამინდი“. ისინი წერენ, რომ არსებობს ამინდის მიმართ სუბიექტური დამოკიდებულება, ვიღაცას მოსწონს წვიმა და ქარი, ვიღაცას არ მოსწონსო.

პატივცემულო ექსპერტებო, დავესესხები დიდ სულხან-საბა ორბელიანს და შემოგთავაზებთ წვიმის სახელებს, იქნებ, რომელიმე გამოგადგეთ „ცუდი ამინდის“ სინონიმად: 1. ხორ-ხოშელა – წვრილი და ხშირი სეტყვა; 2. ხოშკაკალა – მსხვილი სეტყვა; 3. ჟუჟუნა წვიმა – ნელი და ხანგრძლივი წვიმა; 4. ჟინჟლავს – ღრუბლის ნაჟური ღრუბელი ტირის. 5. დელგმა – თავსხმა წვიმა; 6.ცრის – როცა ისე წვიმს, რომ არ ჩანს. 7. წინწკლავს – მსხვილი წვეთების წვიმა. 8. მზე პირს იბანს – თუ მზეა და თან წვიმს.

ჩემი სტატია საკმაოდ პესიმისტური ეპილოგით მინდა დავამთავრო: კერძოდ, მზარავს გაფიქრება იმისა , რომ პირველ კლასში მოსულ პატარებს არ დახვდებათ წიგნი საკრალური და ჯადოსნური სახელწოდებით „დედა ენა“, არავინ ეტყვის, რომ შოთა რუსთაველი გენიოსი, გენიალური ქართველი პოეტია (თურმე ბავშვი ვერ გაიგებს), არავინ წაუკითხავს მართლაც გენიალური საბავშვო მწერლის რ. ინანიშვილის „კრეჭანას“ (თურმე ბავშვის უფლებებს არღვევს); არავინ წაუკითხავს ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. ლეონიძის, გ. ჩოხელის პატრიოტული ხასიათის ლექსებსა და მოთხრობებს (თურმე მხატვრულად ძალიან სუსტია და ფასეულობით ღირებულებებზეა ორიენტირებული). ამავე დროს, ჩვენი პატარები ვერ გაეცნობიან დარგობრივ ტექსტს „საიდან ვიცით ჩვენი ქვეყნის ისტორია“ (ბავშვს არ აინტერესებს მსგავსი საკითხებიო).და კიდევ რამდენ რამეს ვერ წაიკითხავენ, რადგანაც ყველა ეს „დაწუნებული“ ნაწარმოები და ტექსტი პროფ. ნ. მაღლაკელიძის I კლასის სახელმძღვანელოდანაა, იმ სახელმძღვანელოდან, რომელსაც ასეთი უაპელაციო ვერდიქტი გამოუტანეს ყოვლისშემძლე ექსპერტებმა.

დაბოლოს, ეს ჩემი სტატია არც ვინმეს განქიქებაა და არც შექება. ის საყოველთაო სატკივარის გულწრფელი გაზიარებაა და ვფიქრობ, ობიექტური მკითხველიც სწორად გამიგებს.

ჯამბუ ავალიანი
პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

პროექტი

გაიცანი საქართველო

ხოჯორნი სომხურ-აზერბაიჯანული საზღვრისპირა სოფელია მარნეულის რაიონში. სკოლაშიც, შესაბამისად, ორ ენაზე მიმდინარეობს სწავლა. ბავშვებმა ცოტა რამ იციან საქართველოზე, მიუხედავად იმისა, რომ მათი სოფელი და თვითონაც საქართველოს ნაწილი არიან. ასეთ სოფლებში მკაფიოდ ჩანს ენის პრობლემა, დაბალი ინტერესი სახელმწიფო ენის სწავლის მიმართ.

მდგრადი განვითარების მიზნებიდან გამომდინარე, რომელიც, ითვალისწინებს რა განსხვავებულ ეროვნულ თვისებებს, შესაძლებლობებს და განვითარების დონეს და პატივს სცემს ეროვნულ პოლიტიკას და პრიორიტეტებს, არაქართველ ბავშვებთან მუშაობამ დამანახა იმის საჭიროება, რომ ისინი საქართველოს და ქართველ ბავშვებს არა მარტო ვირტუალურად, რეალურად უნდა იცნობდნენ, დამანახა ქართველ ბავშვებთან ინტეგრირების აუცილებლობა. შარშან, ოქტომბერში, შევიმუშავე პროექტი „გაიცანი საქართველო!“, რომლის მიზანია, არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეები რეალურად გაეცნონ საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, მათ ტრადიციებს, კულტურას, სამზარეულოს, მოინახულონ ღირსშესანიშნაობები, მოხდეს მათი ინტეგრაცია ქართველ ბავშვებთან. ხოჯორნში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობის და განსხვავებული რელიგიური კუთვნილების წარმომადგენლებს გაუჩნდეთ განცდა, რომ ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან და, ქართველ თანატოლებთან ერთად, აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში. გარდა ამისა, პროექტში ჩართულობა მოსწავლეებს კვლევა-ძიების, ჯგუფური მუშაობის, ემპათიის უნარებს გამოუმუშავებს. მინდა, რომ პროექტის განხორციელების შემდეგ არა მარტო არაქართველ, ქართველ ბავშვებშიც დაიმსხვრეს სტერეოტიპი ეთნიკურად და რელიგიურად განსხვავებული წარმომადგენლების მიმართ.

პროექტის ფარგლებში სკოლაში მოეწყო კონკურსი „გაიცანი საქართველო“, რომელიც თქვენმა გაზეთმა უკვე გააშუქა, ასევე, საზაფხულო სკოლის პერიოდში, განხორციელდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაზალეთის მოსწავლეების სტუმრობა ხოჯორნელ მოსწავლეებთან, ექსკურსია ბოლნისი-დმანისის მიმართულებით, რომელიც მარნეულის მერიამ დაგვიფინანსა.

მ/წლის 12-14 სექტემბერს კი, პროექტის ფარგლებში, სამშენებლო კომპანიამ AWARD (დირექტორი – **ნიკოლოზ ჭკადუა**), საშუალება მომცა, ამეხდინა ოცნება და მომეწყო ექსკურსია სვანეთში.

ექსკურსიის მიზანი და მსვლელობა მთლიანად შეესაბამებოდა ესგ-ის მიზნებს. ექსკურსია კავშირში იყო გეოგრაფიასთან, ისტორიასთან, ხელოვნებასთან, ქართულთან.

გამგზავრებამდე ერთი თვით ადრე, დაიწყო მზადება მოგზაურობისთვის. მოსწავლეებმა მოიძიეს ინფორმაცია ყველა იმ ქალაქზე, მის ღირსშესანისნაობაზე და, რა თქმა უნდა, იმ კუთხეზეც, რომელიც უნდა მოგვენახულებინა.

ექსკურსიაში მონაწილეობდა საზაფხულო სკოლის 15 უფროსკლასელი, სკოლის დირექტორი **რიმა გარიბიანი**, ისტორიის მასწავლებელი **ლევონ გარიბიანი**, ქართული ენის მასწავლებელი **ნარინე ასატრიანი**, მშობლიური ენის მასწავლებელი **მანუკ მანუკიანი**. ექსკურსანტების კვებასა და დაბინავებაზე ჩემმა ლახამულელმა და მესტიელმა მეგობრებმა იზრუნეს.

ექსკურსიაში მონაწილეობდა ბატონი **გიორგი კილაძე**, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, რომელიც მოსწავლეებს ერთგვარ მინი-ლექციებს უტარებდა ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტების შესახებ, რაც არაქართველი ბავშვებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. აქვე გადაწყდა, რომ ეროვნული ბიბლიოთეკა მოამზადებს 300-სიტყვიან ქართულ-სომხურ ლექსიკონს, რომლის შექმნაში მოსწავლეები მიიღებენ მონაწილეობას. პირველი 20 სიტყვა უკვე მიწოდებულია!

გზად მოვინახულეთ პრომეთეს მღვიმე. ვესტუმრეთ სოფელ ლახამულას, სადაც მოვილოცეთ ხიდის წმ. გიორგის ეკლესია, მოსწავლეები შეხვდნენ სოფლის ახალგაზრდებს და გაიმართა მეგობრული მატჩი ფეხბურთში. ბავშვებმა ლახამულის სკოლის დირექტორის, **ნაზი საბანიძის** ოჯახში, ექსპრომტად, ქართული პოეზიის საღამო მოაწყვეს. მოისმინეს საინტერესო ისტორიები სოფლის შესახებ.

მესტიაში დავათვალიერეთ სვანეთის ეთნოგრაფიული მუზეუმი, გვქონდა პირდაპირი ჩართვა მუზეუმის სახურავიდან. საბაგიროთი ავედით ზურულდის მთაზე და გადმოვხედეთ მესტიას.

სომეხ მოსწავლეებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს მესტიელმა ბავშვებმა, მერიის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული სამსახურის უფროსის, **ელენე განაიას** ხელმძღვანელობით. ახალგაზრდულ კლუბ „ბეთქილში“ მასპინძლები აღტაცებულები უსმენდნენ სომეხი ბავშვების მიერ წაკითხულ ლექსებს და ნამღერ სიმღერებს. მესტიის მესამე საჯარო სკოლის პედაგოგი **მაია ნიჟარაძე** მიესალმა სომეხ ბავშვებს, მადლობა გადაუხადა მათ და საჩუქრად ტიციან ტაბიძის ორტომეული გადასცა. საღამო „ალაფურშეტით“ და დისკოთეკით დასრულდა.

14-ში დილით, სოფელ ლატალში, მაცხოვრის ეკლესიის ეზოში, ახალგაზრდა ლოტბარმა, **გოდერძი აფციაურმა** ლატალელი გოგონების მიერ შესრულებული უძველესი სვანური საგალობლები მოგვასმენინა.

ზუგდიდში ვესტუმრეთ ჯიჯი გიმნაზიას, დავათვალიერეთ და გიმნაზიის დირექტორთან, **მარიკა კვირიკაძესთან** ერთობლივ გეგმებზე ვისაუბრეთ.

სასწავლო წლის დაწყების შემდეგ მოსწავლეები გააკეთებენ კედლის გაზეთს და თანატოლებს წარუდგენენ ერთგვარ ანგარიშს მოგზაურობის შესახებ როგორც ქართულ, ისე მშობლიურ ენაზე.

პროექტი გაგრძელდება.

მშვიდობიან და წარმატებულ სასწავლო წელს გისურვებთ ყველას!

ლალი მარგიანი
ხოჯორნის საჯარო სკოლის
კონსულტანტ-მასწავლებელი

ინფორმაცია

უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრირებისთვის

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გრძელდება მუშაობა უმაღლესი განათლების ხარისხის ასამაღლებლად. მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესები დახვეწას საჭიროებს. ამიტომ, ამ მიმართულებით, პროცესი უწყვეტ რეჟიმში გრძელდება. პროცესის მიმდინარეობისას აღმოჩენილი ხარვეზების შესახებ სამინისტრო ინფორმაციას უნივერსიტეტებიდან იღებს, რის თაობაზეც, რამდენიმე დღის წინ, მინისტრმა სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლების რექტორებთან შეხვედრაზე იმსჯელა. განიხილეს უმაღლესი განათლების სფეროში არსებული გამოწვევები და იმსჯელეს ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესების დახვეწაზე. შეხვედრის დასაწყისში მინისტრმა აღნიშნა, რომ სამინისტრო უმაღლესი განათლების მიმართულებით განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებზე აქტიურად მუშაობს და ამ პროცესში მნიშვნელოვანია უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან მუდმივ რეჟიმში აქტიური თანამშრომლობა და მოსაზრებების გაზიარება.

„უნივერსიტეტების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესი გრძელდება და უკვე აკრედიტებული ან აკრედიტაციის პროცესში მყოფი უნივერსიტეტები შედეგს დადგენილ ვადებში მიიღებენ. ავტორიზაციის პროცესის კორექტირება გამოწვეულია განვლილი პროცესისა და მიმდინარე ავტორიზაციის პირობებში გამოვლენილი ხარვეზებით. რეფორმირების პროცესში, გაგრძელდება მჭიდრო თანამშრომლობა ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციასა და ყველა საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რათა რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტურად მოხდეს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრირების პროცესი.“

უმაღლესი სასწავლებლებისთვის ავტორიზაციის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად გონივრული ვადის მიცემის საკითხს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უმაღლესი განათლების ექსპერტების, რექტორთა საბჭოს, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით განიხილავს. *„არსებული პროცედურები არ უნდა ატარებდნენ მხოლოდ სადამსჯელო ხასიათს. მეტიც, ჩვენ უნდა დავეხმაროთ უნივერსიტეტებს, რომ გამოასწორონ ხარვეზები და დაგეგმონ განათლების ხარისხის ამაღლების გზები.“* – განაცხადა მიხეილ ბატიაშვილმა.

გიორგი სოსიაშვილი, გორის უნივერსიტეტის რექტორი: *„შეხვედრები უნივერსიტეტების ხელმძღვანელებთან რეგულარულ ხასიათს ატარებს. ხდება ყველა მნიშვნელოვანი, კარდინალური საკითხების განხილვა, რომელიც შეეხება უნივერსიტეტების ავტორიზაცია-აკრედიტაციის საკითხებს. ვფიქრობ, დღევანდელი დღე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული იმისკენ, რომ ძალიან სწრაფად მოხდეს ჩვენი თამასის აწევა, რასაც ევროპული განათლების მიღწევა ჰქვია.“*

კახა შენგელია, კავკასიის უნივერსიტეტის რექტორი: *„ვფიქრობ, რომ ძალიან დიდი და ღრმა ეტაპი იწყება ქართული განათლების სისტემაში. კიდევ ერთი ძალიან დიდი ნაბიჯი იქნება გადადგმული წინ, მე ვიტყოდი გრანდიოზული ნაბიჯი. ეს ყველას წაადგება, პირველ რიგში კი, ქართული უმაღლესი განათლების სისტემას, რომელიც ძალიან დაუახლოვდება ევროპულს.“*

მიხეილ ბატიაშვილი მიიჩნევს, რომ სისტემის გაუმჯობესების მიზნით, ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად, უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობა, რომლებმაც დიდი სამუშაო გაწიეს და მომავალშიც, პროცესის დახვეწაში უზარმაზარ წვლილს შეიტანენ. ექსპერტთა ჩართულობით კი გამართულ, შედეგზე ორიენტირებულ, მაღალი ხარისხის სისტემას მივიღებთ. კონსულტაციები ყველა დაინტერესებულ მხარესთან კვლავ გაგრძელდება.

* * *

ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა იმ ფაქტს, რომ რექტორებთან შეხვედრაზე არ იყვნენ მიწვეული შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენლები. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფეისბუქგვერდზე, ამასთან დაკავშირებით, ბევრი კომენტარი გაჩნდა:

„ძალიან მაინტერესებს რატომ არავინ იყო მიწვეული შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან. ყურადღებით მოვისმენდი თქვენს განმარტებებს!“, „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა რა დაგიშავათ?“, „იბსუ საქართველოს ერთადერთი წარმატებული უნივერსიტეტია და უსამართლოა, რაც თქვენ იბსუ-ს გაუკეთეთ!“, „იბსუ გამოგრჩათ“...

შავი ზღვის უნივერსიტეტთან დაკავშირებული ყველა სტატუსი უპასუხოდ დარჩა.

მოსწავლე შემოქმედი

ცეროდენა კალმოსნები

მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის შემოქმედ მოსწავლეთა კლუბი „ცეროდენა კალმოსანი“ (ხელმძღვანელი – პედაგოგი გული სალუქვაძე) აერთიანებს უმცროსკლასელ (მე-2, მე-3, მე-4, მე-5 კლ.) მოსწავლეებს, რომლებმაც უკვე განვლეს სასკოლო ცხოვრებასთან შეგუების ხანა და ახლა „დიდ საქმეებს“ ეჭიდებიან.

„ცეროდენა კალმოსნები“ წერენ მონდომებით, ხალისით, ცდილობენ შექმნან ნაწარმოებები: ზღაპრები, მოთხრობები, ლექსები, ჩანახატები და ეს, უმეტესობას, კარგად გამოსდის, რაც გადებს შემოქმედებით სიხარულს, რწმენას საკუთარ ძალებში, სწრაფვას ცნობადობისადმი, ეს კი თავისთავად მოიცავს ცოდნის შეძენის წყურვილს.

წარმოგიდგენთ რამდენიმე „ცეროდენა კალმოსანს“ (ავტორთა წერის სტილი დაცულია)

მარიამ ფიფია
მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის „ცეროდენა კალმოსანთა“ კლუბის წევრი, III კლასის მოსწავლე

ვარდისფერი ყვავილი

პატარა ნინას უნდოდა დედა გაეხარებინა, მიირბინა ბებოსთან და ჰკითხა: ბებო, დედას როგორი ყვავილები მოსწონს?

ვარდისფერი, უპასუხა ბებომ, თან ისიც უთხრა, რომ დედას არ უყვარს როცა ლარნაკში ყვავილები ჭკნებაო.

ნინა ყვავილების მაღაზიისკენ ისე სწრაფად გაქანდა, როგორც მატარებელი. გზაში მინდვრის ყვავილები დაინახა, მაგრამ მოწყვეტა დაენანა.

ნინამ დედას ვარდისფერი ხელოვნური ყვავილი უყიდა. დედა სიხარულით ცას ეწია. – ბრწყინვალეა – თქვა დედამ და გოგონა გულში ჩაიკრა.

ღამით ყვავილმა ლარნაკში ნათება დაიწყო.

ხედავ, შვილო?! – თქვა დედამ, შენი მოტანილი ხელოვნური ყვავილი უბრალო არ არის. ის ისე ბრწყინავს როგორც ვარსკვლავი ცაზე.

დათო ფარეიშვილი
მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის „ცეროდენა კალმოსანთა“ კლუბის წევრი, IV კლასის მოსწავლე

აურზაური სამზარეულოში

სკოლიდან რომ დავბრუნდი, სასადილოდ სამზარეულოს მივაშურე. ბებომ ალერსიანი ფუსფუსით მომმართა: ხელები „ვანაში“ დაიბანე, შვილო, „კრანი“ ფრთხილად მოუშვი „რაკოვინა“ დაზიანეულია, ამასობაში მე „პლიტაზე“ კერძს გაგითბობ და „ხალადელნიკში“ შენთვის გადანახულ „კალბასსაც“ მოგართმევ.

უცბად სამზარეულოში აურზაური ატყდა. აჩოჩქოლდნენ ნივთები: – რა უბედურებაა, ბარბაროსების შემოსევაა? რატომ გვართმევენ ჩვენს ქართულ სახელწოდებებს? არა და რა ლამაზად ჟღერს ქართულად: „გაზქურა“, „ნიჟარა“, „აბაზანა“, „მაცივარი“, „ონკანი“, „ძეხვი“.

სადილის დამთავრებისთანავე ჩემს სამეცადინო მაგიდას მივუჯექი. ქართულში თავისუფალი თემა ჩვენივე არჩევნით უნდა დაგვეწერა. ბევრი არც მიფიქრია. „ბარბარიზმების შემოტევა სამზარეულოში“ ასე დავარქვი ჩემს თხზულებას.

ნინო კოჭლამაზაშვილი
მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის „ცეროდენა კალმოსანთა“ კლუბის წევრი, VI კლასის მოსწავლე

სიზმარში ცხადად

ერთხელ სიზმარში თითქოს ცხადად მოვხვდი. სიზმარი იმდენად ნათელი და დასამახსოვრებელი იყო, რომ ცხადი მეგონა.

ადგილი მცხეთას ჰგავდა, მაგრამ ეკლესიები არსად ჩანდა. იდგა მხოლოდ დიდი სასახლე და ქოხები. ირგვლივ უამრავი კერპი იყო, გარშემო ტყე და ტყის იქით ორი მდინარე უერთდებოდა ერთმანეთს.

იყო ჩოჩქოლი: დასავლეთში კაცი ჩამოსულა და ქვეყანას აქრისტიანებსო. ეს ალბათ ანდრია პირველწოდებულია, გავიფიქრე – ხალხს შეუერთდი და მეც დასავლეთისკენ გავეშურე.

უცებ დავინახე წმინდანი. თავს ნათელი ადგა. ღვთისმშობლის ხატი გულზე აეხუტებინა და ნელა მოაბიჯებდა. ხეები თითქოს თავს უხრიდნენ სასწაულმოქმედ ხატს, ალბათ ღვთისმშობელი ლოცავდა ქვეყანას.

გამომეღვიძა, ისტორიის წიგნი გადაშლილი დამრჩენოდა სასთუმალთან. სანიშნე წიგნში სწორედ იმ ადგილას იდო, სადაც ეწერა: – „მაინც როგორ გაუძლო ჩვენმა ქვეყანამ ამდენ გასაჭირს?“

პასუხი კი ვიცოდი:

საქართველოს ღვთისმშობელი იფარავს.

მარიამ ფარეიშვილი
მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის „ცეროდენა კალმოსანთა“ კლუბის წევრი, III კლასის მოსწავლე

რას ჩურჩულებს წითელი ყაყაჩო

ძველთაძველი შენობის კედელთან წითელი ყაყაჩო ამოსულიყო. მოწყვეტა დავაპირე, მაგრამ უეცრად ჩურჩული შემომესმა:

– ნუ მომწყვეტ, გოგონა!

გაოცებულმა აქეთ-იქით მივიხედ-მოვიხედე, ვერავინ შევნიშნე.

– რომელი ხარ, რატომ მემალები?

– მე ვარ, წითელი ყაყაჩო – შემომესმა სევდიანი ხმა.

– სევდიანი რატომ ხარ?

– ყური დამიგდე, თუ გსურს, გიამბობ – მითხრა პატარა ყაყაჩომ. მე მის წინ ჩავიცუცქე და თანხმობის ნიშნად თავი დავხარე.

– ეს ამბავი – თქვა ყაყაჩომ, საუკუნეების წინ მოხდა. ამ ადგილს, სადაც ახლა ბავშვების სასახლეა, მაშინ „კალოუბანი“ ერქვა.

საქართველოს მტერმა – თემურ ლენგმა აქ, გადმოცემის თანახმად, პატარები ამოხოცა, მათი სისხლი მდინარედ მოედინებოდა.

დედა ღვთისმშობელმა აქაურობას თავისი მფარველი კალთა დააფარა და ისურვა, რომ ეს ადგილი პატარების კუთვნილება ყოფილიყო. იმ ბავშვების ხსოვნას, ჩვენ, წითელი ყაყაჩოები სათუთად ვინახავთ.

– მე კი მოწყვეტას გიპირებდი – ვთქვი და თვალზე ცრემლი მომადგა. ახლა კი გპირდები, რომ ყოველ გაზაფხულს მოვალ და მოგესალმები.

ანანო ფარულავა
მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის „ცეროდენა კალმოსანთა“ კლუბის წევრი, III კლასის მოსწავლე

ძია იაკობის სიხარული

ძია იაკობმა გადაწყვიტა – მოდი ბავშვებს წიგნს დაუწერო. მართლაც დაუწერა და „დედა ენა“ დაარქვა. წიგნი „აი ია“-თი იწყება. ალბათ იმიტომ, რომ ია დედის ყვავილია.

„დედა ენას“ მოსწავლეებს უფასოდ ურიგებენ.

ძია იაკობმა ერთხელ ბავშვებს ჰკითხა: შეიძლება თუ არა ორი ასობგერისაგან შედგეს წინადადება? ყველა „არას“ გაიძახოდა. ერთმა ჭკვიანმა გოგონამ თქვა: – დიახ!

– როგორო? – ჰკითხა იაკობმა.

– „აი, ია“ ორი ასოსაგან შედგება. ეს ხომ წინადადებაა?! – თქვა ჭკვიანმა გოგონამ.

იაკობს გაეღიმა და ძალიან გაუხარდა.

ანანო ფეიქრიშვილი
მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის „ცეროდენა კალმოსანთა“ კლუბის წევრი, III კლასის მოსწავლე

ჩვენთან, სადარბაზოში

ჩვენთან, სადარბაზოში, ბეღურები ბუდეს იკეთებენ, კვერცხებს დებენ და ბარტყებს ჩეკენ. ისეთი პაწაწუნები არიან, რომ საერთოდ არ ჩანან.

მე ერთი სული მაქვს როდის დავინახავ ბარტყებს.

ისინი სანამ პატარები არიან მარტო მათი ხმა მესმის. ცოტა რომ წამოიზრდებიან და ბუდიდან თავებს გადმოყოფენ, მხოლოდ მაშინ თუ დავინახავ როგორები არიან.

მე ძალიან მიყვარს ბეღურები, მათაც ძალიან ვუყვარვარ.

ჩემი ფანჯრის რაფაზე მუდმივად ვუყრი ჩიტებს პურის ნამცეცებს და ისინიც ხშირად მოფრინავენ ჩემთან.

გიორგი კოჭლამაზაშვილი
მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის „ცეროდენა კალმოსანთა“ კლუბის წევრი, III კლასის მოსწავლე

საყვარელი ბახალა

(ცოცხალი მოთხრობა)

ეს მოთხრობა იმიტომ არის ცოცხალი, რომ მართლა მოხდა.

ბუდიდან ყვავებს პატარა ბარტყი გადმოუვარდათ, ბახალა ძალიან საყვარელი იყო. მე ახლოს მივედი, მინდოდა მოვფერებოდი. დედ-მამას შეეშინდათ და ჩხავილი მორთეს, ისინიც მშვენიერი და საყვარელი ყვანჩალები იყვნენ, შიშობდნენ შვილი ვინმემ არ წაგვართვას ან კატამ არ შეგვიჭამოსო.

როცა ბახალას ხელში აყვანა მოვინდომე, ყვავები გაგიჟდნენ და თავზე დამტრიალებდნენ.

უცებ მოხუცი კაცი მოვიდა, ყვავის ბახალა აიყვანა და აივანზე დასვა – რომ შეღამდება ყვავები წაიყვანენო.

ეს ამბავი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ეზოში 2017 წლის 20 მაისს მოხდა.

ინფორმაცია

მინისტრის სტუმრობა ჩიქუნეთის სკოლაში

აჭარის რეგიონში დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი, **მიხეილ ბატიაშვილი**, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიქუნეთის მცირეკონტინგენტიან საჯარო სკოლას ესტუმრა და პედაგოგებსა და მოსწავლეებს რეფორმის ფარგლებში, ამ ტიპის სკოლების კუთხით, დაგეგმილი სიახლეები გააცნო.

მინისტრის თქმით, უკვე მიმდინარეობს საშუალო საფეხურის (X, XI, XII კლასები) პროგრამების გადახედვა. კერძოდ, დაგეგმილია პროფილურ სწავლებაზე გადასვლა, რომელიც რამდენიმე, მათ შორის სახელობო მიმართულებას მოიცავს. შედეგად, მოსწავლეები, სკოლის ატესტატთან ერთად, მათთვის საინტერესო პროფესიულ უნარებსაც დაეუფლებიან.

ჩიქუნეთის სკოლა, ზღვის დონიდან 498 მეტრ სიმაღლეზე, აჭარის ერთ-ერთ მაღალმთიან სოფელში მდებარეობს და სრულად რეაბილიტირებულია. აქვს ღია სპორტული მოედანი და სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, ცენტრალური გათბობის სისტემა, აღჭურვილია ახალი სასკოლო ინვენტარით. სკოლის პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოკამერები.

ჩიქუნეთის სკოლას 53 მოსწავლე ჰყავს, მათ შორის 3 პირველკასელი და 3 მეთორმეტეკლასელი. მცირეკონტინგენტიან სკოლაში 20 პედაგოგია დასაქმებული, რომელთაგან 6 სერტიფიცირებულია.

ქართველი მოსწავლეები დიდ ბრიტანეთში ენის გაძლიერებულ კურსს გაივლიან

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ ფარგლებში, 21 წარმატებული მოსწავლე დიდ ბრიტანეთში გაემგზავრა. გაერთიანებულ სამეფოში მოსწავლეები 2-კვირიან ინგლისური ენის გაძლიერებულ კურსს გაივლის. პროგრამა ასევე ითვალისწინებს სხვადასხვა სპორტულ, შემეცნებით-გასართობ აქტივობებს, ექსკურსიებს, მოსწავლეები გაეცნობიან ბრიტანეთის ტრადიციებსა და კულტურას.

21 საუკეთესო მოსწავლე საქართველოში ჩატარებული ინგლისური ენის საზაფხულო სკოლის 600 მონაწილესაგან შეირჩა. მოსწავლეების შერჩევა მოხდა ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა სკოლაში მიღწეული აკადემიური პროგრესი, აქტივობებში ჩართულობა, თანატოლებთან კომუნიკაციის

უნარი, კრეატიულობა, დამოუკიდებლობა, დროის მენეჯმენტი, ლიდერული უნარ-ჩვევები და ა.შ. შერჩევის პროცესში თავად მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ.

საგანმანათლებლო რესურსები მომავალი მასწავლებლებისთვის

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, ზოგადი განათლების სფეროში გაეროს ბავშვთა ფონდის, ესტონეთისა და საქართველოს საპარტნიორო პროგრამის ფარგლებში, უნივერსიტეტების წარმომადგენლებისთვის, ერთდღიან სამუშაო სემინარს უმასპინძლა, რომელიც მინისტრის მოადგილემ, **ირინა აბულაძემ** გახსნა.

სემინარის მიზანს წარმოადგენდა აკადემიური პერსონალის ინფორმირება სისტემაში მომზადებული და ხელმისაწვდომი პროგრამების, გზამკვლევებისა და სხვა საგანმანათლებლო რესურსის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ რესურსები უნივერსიტეტებს საშუალებას მისცემს საკუთარი პროგრამები/სილაბუსები ინოვაციური მეთოდებით გაამდიდრონ, გამოიყენონ სწავლა-სწავლების პრაქტიკაში და შესაბამისად, დანერგონ სასწავლო პროცესში.

სემინარს ესტონეთის საელჩოს, გაეროს ბავშვთა ფონდის, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისა და სამინისტროს დეპარტამენტების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

რეაბილიტირებული სკოლები

20 სექტემბერს, რუსთავში, ოფიციალურად გაიხსნა ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ რეაბილიტირებული №4 საჯარო სკოლა. გახსნის ცერემონიაში მონაწილეობდნენ: ქვემო ქართლის გუბერნატორი **შოთა რეხვიაშვილი**, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე **ირინა აბულაძე**, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელი საქართველოში **ელიზაბედ რუდი** და აშშ-ს მთავრობის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის ოპერაციების აღმასრულებელი დირექტორი **ჯონათან ნეში**, „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი **მაგდა მაღრაძე**.

რუსთავის №4 საჯარო სკოლა 1,650 მოსწავლეზეა გათვლილი, ამერიკის მთავრობის მხარდაჭერით, შენობის სრული რეაბილიტაცია განხორციელდა და განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სკოლა სრულად გარემონტდა. ასევე, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარა ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა გარდაბნის №4 საჯარო სკოლას, რომელსაც 770 მოსწავლე ჰყავს.

შოთა რეხვიაშვილი, ქვემო ქართლის გუბერნატორი: *„სკოლები მატერიალურ-ტექნიკურად სრულად გადაიარაღდა. იდეალური გარემოა შექმნილი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, ყველა პირობაა იმისათვის, რომ ჩვენმა ბავშვებმა ხარისხიანი განათლება მიიღონ. კიდევ ერთხელ, გულწრფელი მადლობა მინდა გადავუხადო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას და ხალხს.“*

სკოლების სრული რეაბილიტაცია ათასწლეულის გამოწვევის ფონდის საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში განხორციელდა.

„დღეისათვის ფონდმა უკვე დაასრულა 58 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია, ხოლო 30 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს დასავლეთ საქართველოში. ეს პროექტი დაფინანსებულია 54 აშშ მილიონი დოლარით, რომელიც, გრანტის სახით, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გამოყო. დღეს სტუმრები ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციიდან, ასევე, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები ეწვივნენ რუსთავის №4 სკოლას, დავათვალიერეთ თუ რა სამუშაოები ჩატარდა.“ – განაცხადა „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა, მაგდა მაღრაძემ.

„განათლების სამინისტრო, ათასწლეულის გამოწვევის ფონდთან ერთად, საქართველოს სკოლების ინფრასტრუქტურული მდგომარეობის დეტალურ აღწერას აწარმოებს იმისათვის, რომ შემუშავდეს მომავალი ხუთწლიანი გეგმა და სკოლებმა არა მარტო უსაფრთხო გარემოში გააგრძელონ ფუნქციონირება, არამედ აკმაყოფილებდნენ ყველა თანამედროვე სტანდარტს, რაც სწავლისა და სწავლების პროცესების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს, – ამბობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე, ირინა აბულაძე, – *2018-19 სასწავლო წელს სისტემა 31 სრულად რეაბილიტირებული სკოლით ხვდება და აქედან 28 რეაბილიტრიებულია კორპორაციისა და ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ. დღეს ერთ-ერთ ასეთ სკოლაში ვიმყოფებით. ამ სკოლას გამორჩეულად კარგი მიღწევები აქვს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების, ზოგადად სასკოლო კულტურის მიმართულებით.“*

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი, ახალ სასწავლო წელს, 28 სრულად რეაბილიტირებული და საერთაშორისო სტანდარტის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვილი საჯარო სკოლით ხვდება. 13 800-მდე მოსწავლე, ქვემო ქართლსა და კახეთში, განახლებულ სასწავლო გარემოში მიიღებს განათლებას.

2015-2018 წლებში სკოლების რეაბილიტაციის ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 26 259 259 აშშ დოლარს, ჯამური რეაბილიტირებული ფართი – 134 000 m^2, ხოლო ბენეფიციარების რაოდენობა – 22 400 მოსწავლეს.

საჯარო სკოლების რეაბილიტაციას აფინანსებს აშშ-ის მთავრობა, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მეორე, 140 მილიონი აშშ დოლარის კომპაქტით/გრანტით. ჯამში, საჯარო სკოლების რეაბილიტაციისთვის კომპაქტიდან 54 მლნ აშშ დოლარზე მეტი თანხაა გამოყოფილი.

სასწავლო პროექტები

წიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს. ახსნილია პროექტის სტრუქტურა და გაწერილია რეკომენდაციები, როგორ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საბანში.

11 ლარი

ქართული I-VI კლასები

წიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩაბარონ საგნობრივი გამოცდა.

11 ლარი



პროფესიული უნარები

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის

15 ლარი

ტესტების კრებული მასწავლებლებისთვის პროფესიულ უნარებში

წიგნი მოიცავს ტესტების შესრულების ინსტრუქციას, ტესტებს პასუხებით და ტერმინების განმარტებით ლექსიკონს. ტესტები სრულად მოიცავს საგამოცდო პროგრამას.

15 ლარი

მასწავლებლის სამუშაო რვეული

4 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული



6 ლარი

ქათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ეროვნული ისტორიული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ე�ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული